პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 83 (20424) კვირა, 9 აპრილი, 1989 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს მიმართვა

რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელსა და ახალგაზრდას

პატივცემულო ამხანაგებო, ძვირფასო თანამემამულენო!

დღეს რესპუბლიკა დიდი განსაცდელის და გამოცდის ნინაშეა — დაგვიდგა ჩვენი პოლიტიკური სიმწიფის, საქვეყნო საქმის, გარდაქმნის საქმის ერთგულების შემოწმების დრო.

ვითარება კრიზისულია და ისეთი სახე მიიღო, რომ თუ სასწრაფოდ არ მოხდა გარდატეხა, შესაძლოა საგრძნობლად შეფერხდეს დემოკრატიული გარდაქმნის პროცესი. ამიტომ ყოველ ჩვენგანს დღეს უდიდესი პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პასუხისმგებლობა ეკისრება.

აფხაზეთის ამბებით გამოწვეული ბუნებრივი შეშფოთება უკიდურესი მიმართულების ფორმალურმა გაერთიანებებმა გამოიყენეს საერთო ვითარების გასამწვავებლად თბილისში, სადაც რამდენიმე დღეა ანტისაბჭოური ხასიათის უსანქციო მიტინგები და დემონსტრაციები ეწყობა. პრაქტიკულად დარღვეულია დედაქალაქის ნორმალური ცხოვრების რიტმი, მოშლილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობა. ქალაქის სხვადასხვა რაიონში, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან იკრიბებიან აღგზნებულ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ შეაღწიონ სახელმწიფო დაწესებულებებში, ჩაშალონ მათი მუშაობა, მოუწოდებენ მშრომელებს გაიფიცონ.

რესპუბლიკის მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე ყოველდღიურად თავს იყრის ათასობით ადამიანი, უპირატესად მოსწავლეები და სტუდენტი ახალგაზრდობა, რომლის ნაწილმა შიმშილობა გამოაცხადა.

ავრცელებენ ყოველგვარ დეზინფორმაციას, მიტინგის მონაწილეებს მოუწოდებენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ, უწესრიგობისაკენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო სავსებით იზიარებენ იმ შეშფოთებას და გულისწყრომას, რომელსაც კომუნისტების, მუშათა კლასის, მშრომელთა დიდ უმრავლესობაში იწვევს ისეთი ლოზუნგებისა და მოწოდებების ანტისაბჭოური და ანტისოციალისტური ხასიათი, რომელთა მიზანია ზემოქმედება მოახდინონ პარტიულ, საბჭოთა და სამართალდაცვითს ორგანოებზე.

ნუ ავყვებით პროვოკაციებს, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ისინი, რადგან ყველას გვაკისრია პასუხისმგებლობა ახალგაზრდა თაობის მომავლისათვის, მისი კეთილდღეობისათვის.

გარდაქმნას ვერ მივაღწევთ სიფხიზლის, სიბრძნის, რეალიზმის, კანონის პატივისცემის, მაღალი პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიული ტრადიციების გარეშე, ხოლო როცა საქმე ერებს შორის ურთიერთობას შეეხება, ეს თვისებები განსაკუთრებით საჭიროა.

შეუძლებელია საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ძმური ურთიერთობა ვანაცვალოთ ემოციებს, ამბიციებს, სტიქიურ და ანარქიულ გამოვლინებებს.

რესპუბლიკის ყველა პატიოსანი მშრომელი იმ აზრისაა, რომ ხალხთა შორის განხეთქილებისა და უნდობლობის გაღვივება, დაძაბული ვითარება მხოლოდ აბრკოლებს მძიმე მემკვიდრეობად მიღებული ეროვნული და სოციალური პრობლემების გადაჭრას. ყოველივე ეს, ასევე ხელს უშლის ერთა შორის ურთიერთობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის მზადებას, აწონილი, გონივრული წინადადებების გამომუშავებას. სწორედ ამიტომ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ კონსტიტუციის, სოციალისტური ღირებულებების, დემოკრატიზმისა და კანონიერების ფარგლებში წამოყენებული იდეები და წინადადებანი განიხილებოდეს და ხორციელდებოდეს მშვიდ ვითარებაში, რომ არ იბღალებოდეს ვისიმე ეროვნული ინტერესები, რომ არავინ არ სარგებლობდეს დაუმსახურებელი სიკეთითა და პრივილეგიებით. ამას უნდა ვაკეთებდეთ საჯაროდ, დემოკრატიული ხერხებით, რაც სულაც არ ნიშნავს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებზე მორალური, ძალისმიერი ზემოქმედებით ნაჩქარევ გადაწყვეტილებათა მიღებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებაში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიისათვის წარდგენილ ინფორმაციაში რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, მკაფიოდ და მტკიცედ გამოხატა თავისი დამოკიდებულება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარი ამბებისადმი.

არაერთხელ აღინიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა შეუძლებელი და გაუმართლებელია ისტორიული, სამართლებრივი, რაიმე სხვა თვალსაზრისით, ისევე, როგორც უპერსპექტივოა ეროვნულ-ტერიტორიული საზღვრების შეცვლის ყოველი ცდა.

შექმნილი საერთო მდგომარეობიდან გამოტანილია თვითკრიტიკული დასკვნები, ყველაფერი კეთდება მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები ამ რთულ ვითარებაში თავდაჭერილობასა და მოთმინებას იჩენენ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, არაერთხელ შეხვედა შრომითი კოლექტივების, მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, სტუდენტ ახალგაზრდობას, პარტიულ და საბჭოთა აქტივს. არაერთხელ მოუწვევია გულახდილი საუბრისათვის, პატიოსანი დიალოგისათვის, ისინიც, რომელთა მოქმედება, სამწუხაროდ, საზოგადოებას თიშავს და კონფრონტაციას იწვევს.

ძვირფასო თანამემამულენო!

ჯერ კიდევ არის დრო, თავიდან ავიცილოთ მოვლენების დრამატული განვითარება, გამოვნახოთ მთელი ხალხის ერთსულოვანი, შეხმატკბილებული მოქმედების გზები პრინციპულ საფუძველზე, რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენის აზრებისა, გრძნობებისა, სულისკვეთებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

მაგრამ ამისათვის, უნინარეს ყოვლისა, ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მოუხმოს გონიერებას, უარი თქვას ასეთ ვითარებაში უსანქციო მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობაზე.

თითოეულმა უნდა მოახდინოს არჩევანი — ერთი მხრივ გარდაქმნას, დემოკრატიასა და, მეორე მხრივ, ანარქიასა და ქაოსს შორის, რომლებსაც შეიძლება ძნელად გასათვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. ჩვენს ხალხს უამისოდაც იმდენი უბედურება გამოუვლია, რომ არ გვეპატიება კიდევ ერთი ახალი ტრაგედია დავატეხოთ თავს.

მოგინოდებთ კომუნისტებსა და უპარტიოებს, ჩვენ სამეცნიერო და შემოქმედ ინტელიგენციას, — ბრძნული და მართალი სიტყვით დაამშვიდეთ აღელვებული და აგზნებული ადამიანები, უჩვენეთ პირადი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა წყდებოდეს ძნელი და სადავო საკითხები, როგორ უნდა იმართებოდეს გულახდილი და პრინციპული დიალოგი. ჩვენ გვწამს თქვენი ავტორიტეტის ძალა, სულიერი ზეგავლენა ახალგაზრდების გულსა და გონებაზე.

მოგინოდებთ ქალებს, დედებს, ყველა მშობელს, ყველა პედაგოგს — აღიმაღლეთ ხმა, დააცხრეთ ჩვენი შვილების ემოციები, განმუხტეთ დაძაბულობა, მიაღნიეთ მშვიდ, კეთილმოსურნე ვითარებას. მხოლოდ მაშინ გადაიჭრება ყველა პრობლემა, თუკი გამოვლინდება, როგორც დიდ, ერთსულოვან ოჯახში, კეთილი ნება, ერთმანეთის აზრისა და გრძნობების პატივისცემა.

მოვუწოდებთ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ჩვენს ახალგაზრდობას — თქვენი ენერგია, ახლაც და მომავალშიც, სჭირდება მშობელ ხალხს და მამულს, ეცადეთ დამშვიდდეთ, დაიცხროთ ემოციები, პატივი ეცით უფროსი თაობის — თქვენი დედისა და მამების განვლილ გზას და ნაშრომ-ნაღვაწს, დაუჯერეთ მათ რჩევას, რომელიც დაფუძნებულია ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე და რეალობაზე. გახსოვდეთ, ერთ დღეში დანგრევა შეიძლება, აშენება არა!

ნუ დაივიწყებთ, რომ დღეანდელი უფლებები გარდაქმნამ და საჯაროობამ მოგიტანათ. გაუფრთხილდით ამ მონაპოვარს. იგი იძლევა იმის საშუალებას, რომ ერის ოცნებებს ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათან შევასხათ ხორცი.

სხვა გზა არა გვაქვს. საქართველო იყო, არის და იქნება ერთიანი სოციალისტური სუვერენული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის მომძმე ხალხთა საერთო ოჯახში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

იზრდება ნდობის პოტენციალი

დამთავრდა მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში

ლონდონი. 7 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). გულითადობა, გულწრფელობა, გულთბილობა — ასეთ ვითარებაში მთავრდება დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი ოფიციალური ვიზიტი დიდ ბრიტანეთში. ამ ატმოსფეროთი იყო გაჟღენთილი თემზის ნაპირებზე გამართული ყველა შეხვედრა. არავინ არ მალავს, რომ საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობაში არის გადასაჭრელი პრობლემები, არიან ძალებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ნორმალიზაციის პროცესს. ამასთანავე აქ ჰაერობს ის აზრი, რომ სსრ კავშირ-ინგლისის დიალოგი უფრო შინაარსიანი ხდება და მეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ორმხრივი, არამედ საერთო-ევროპული, ფართო საერთაშორისო თვალსაზრისითაც.

ამ დიალოგში პოზიტიურ ცვლილებათა იმედები ამკარად იგრძნობოდა დღევანდელი ინგლისის ლიდერების, საზოგადოებრივი და საქმიანი წრეების წარმომადგენლების გუნება-განწყობილებაში, რომლებიც დღეს შეიკრიბნენ დედაქალაქის უძველეს დარბაზში—ლონდონის სიტის საქალაქო საბჭოში, რათა შეხვედროდნენ საბჭოთა ხელმძღვანელს. ხუთი საუკუნის მანძილზე გილდჰოლი ქვეყნის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე და მონაწილე იყო. დღესაც აქ იქმებოდა ისტორია. დასავლეთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტრიბუნა დაეთმო პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლის ღრმა, რევოლუციურმა გარდაქმნებმა ქვეყნის შიგნით და გარეთ აღიარება პოვა მთელ მსოფლიოში.

გილდჰოლის შესასვლელთან სტუმრებს დახვდა ლორდ-მერი კ. კოლეტი მეუღლითურთ. მან ისინი მიიწვია საპატიო სტუმრთა დარბაზში და წარუდგინა უხუცესნი. დარბაზში არიან დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების ჯგუფი, სოციალისტური ქვეყნების ელჩები.

შემდეგ გილდჰოლის პოდიუმზე ადგილებს იკავებენ მ. ს. გორბაჩოვი, რ. მ. გორბაჩოვა, მ. ტეტჩერი, დ. ტეტჩერი. სრულდება საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ჰიმნები.

შეხვედრის ცერემონიის გახსნისას ლორდ-მერმა კ. კოლეტმა თქვა, რომ ლონდონის გილდჰოლი მოწმე იყო მტრის მოქმედებისა კონფლიქტის დროს, რომელშიც ჩვენი ქვეყნები მხარდამხარ იბრძოდნენ აგრესიის შესაჩერებლად. ახლა ჩვენ კვლავ მხარდამხარ ვცდილობთ, განაგრძო მან, წარვმართოთ მოვლენათა მსვლელობა, რათა შევამციროთ დაძაბულობა და დავამყაროთ მშვიდობიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა სისტემის ქვეყნებს შორის ყველა სფეროში. თქვენმა ინიციატივებმა და ჩვენი პრემიერ-მინისტრის ინიციატივებმა დაიპყრო და იმედით აღავსო ყველა თავისუფლად მოაზროვნე და მშვიდობისმოყვარე ადამიანის გული მთელ მსოფლიოში, რომელიც თქვენმა მამაცმა კოსმონავტებმა უსასრულო კოსმოსთან გაგვაერთიანებინეს. და ახლა მსოფლიოში, თქვა ლორდ-მერმა და თან ტრიბუნა დაუთმო მ. ს. გორბაჩოვს, მოელიან თქვენს სიტყვებს.

მე ვიცი, რამდენად საპატიოა დიდ ბრიტანეთში ტრიბუნის მიცემა უცხოელი მოღვაწისათვის ლონდონის გილჰოლში. თვითონ ეს შენობა, რომელთანაც ამდენი მოვლენაა დაკავშირებული, შეგახსენებს დროთა კავშირს. თავიდან XX საუკუნე, მძაფრი, მოვლენებით უმდიდრესი საუკუნე, რომელიც ნამდვილად გარდამტეხი გახდა კაცობრიობის ისტორიაში. ალბათ, იშვიათად თუ ნახავთ ისეთ კაცს, რომ არ ეკითხებოდეს ახლა საკუთარ თავს: რა იქნება შემდეგომ? რა არის ამ მიჯნის მიღმა?

ბოლო წლებში ახლანდელი მომენტის პასუხისმგებლობას ყველგან გრძნობენ. იგი უკავშირდება იმედს, მაგრამ შეშფოთებაც თან ახლავს. მსოფლიო გაერთიანება ორი პოლიტიკის განშტოებაზეა. ერთი, ზოგადად რომ ვთქვათ, — ეს არის ძალის პოლიტიკა, იგი წარსულიდან მოდის. მეორე პოლიტიკა მხოლოდ ყალიბდება. იგი უნდა უმადლოდეს მსოფლიოს მთლიანობისა და ურთიერთდამოკიდებულების კრისტალიზაციის სწრაფ პროცესს. მისი იმპერატივი ზოგადსაკაცობრიო ინტერესებისა და ღირებულებების პრიორიტეტი. ჩვენ მტკიცედ დავადექით გაკვალული დოგმების, ჩვეული სქემებისა და სტერეოტიპების დაძლევის გზას. ამის შედეგი გარდაქმნა და ახალი აზროვნება, მათზე დაფუძნებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა. რამდენადაც საქმე ეხება ისეთ ქვეყანას, როგორიც სსრ კავშირია,



გამოსვლის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ამან ყველგან გამოიწვია უჩვეულო ინტერესი, გავლენა მოახდინა საერთაშორისო ატმოსფეროზე და მსოფლიოს რეალურ პოლიტიკურ სიტუაციაზე.

ჩვენი გარდაქმნისადმი ინტერესი დღესაც არ ნელდება. და, როგორც მე მესმის, თქვენ ამეოდენებთ მოისმენოთ ჩემგან, როგორია მდგომარეობა ახლა, როგორ წაიწევს წინ გარდაქმნა, რა შანსები აქვს მას?

მაშ, ასე. გარდაქმნა ეერიოზული და ნანგრძლივი პროცესია. მის უკუღმა შეტრიალებას უკვე ვეღარავინ ვეღარ შეძლებს. ხალხმა მტკიცედ დაუკავშირა თავიდაბედი გარდაქმნას. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებმა, რომელმაც მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე უმაგალითო დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო, რომ საბჭოთა ადამიანები არ აპირებენ გადაუხვიონ ოთხი წლის წინათ არჩეულ გზას. ენებათა და აზრთა ის ბრძოლა, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეებისადმი ინტერესის ის აფეთქება, საჯაროობის მაქსიმალური გამოყენებისა და მისი დაცვისადმი მისწრაფება, თვით შინდფულებათა და წინადადებათა წინააღმდეგობრიობა, ზრუნვა იმისთვის, რომ კვლავ არ დაშორდეს ერთმანეთს სიტყვა და საქმე, — ყოველივე ეს სწორედ გარდაქმნის პრინციპული მონაპოვარი და მისი მასობრივი მხარდაჭერის დასტურია. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ამ არჩევნებში ხალხის მძლავრი მხარდაჭერა პოვა.

ჩვენ გარდაქმნას შევუდექით სრული შეგნებით. გავითვალისწინეთ ამ პროცესის სირთულე და უჩვეულობა. გვესმოდა, რომ იგი საფუძვლიანად „შეაჯანჯღარებდა“ მთელ საზოგადოებას. მთავარში არ შევცდარვართ. სხვა საქმეა, რომ მრავალი შინაური პრობლემის — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, მორალური პრობლემების მასშტაბი ერობაშად კი არ გამოვლინებულა, არამედ დაწყებული საქმის მომდინარეობის კვალობაზე. ეს სულ ახლებურ მიდგომებსა და გადაწყვეტებს, უაღრესად დაძაბულ ინტელექტუალურ და პრაქტიკულ მუშაობას მოითხოვს.

ამ სიტუაციაში პრობლემები და სიძნელეები გარდაუვალია. საქმე ხომ ეხება ღრმა გარდაქმნებს ყველაფერში — ცხოვრების ყაიდაშიც, შრომისადმი, მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულებაშიც.

ჩვენ საბოლოოდ ავირჩიეთ მარშუტი ცხოვრების ახალი ფორმებისაკენ — ყველაფერი საზოგადოების დემოკრატიზაციისაკენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი შექმნის და უკვე ქმნის პიროვნების და აზროვნების თავისუფლების სრული თვითგამოხატვის პირობებს, მხოლოდ იგი მოგვცემს საშუალებას გამოვავლინოთ სოციალიზმისათვის იმთავითვე დამახასიათებელი ისეთი ღირებულებანი, როგორიცაა სოციალური დაცვა, სამართლიანობა, წარმოებითი და ადამიანური ურთიერთობების ჰუმანიზმი. ამასთან ჩვენ ორიენტაციას ვიღებთ საჯაროობისა და ადამიანების ინფორმირების უმაღლეს სტანდარტებზე — როგორც საერთაშორისო თვალსაზრისით აღიარებულ, ისე ჩვენი იდეალებიდან და კულტურულ-ისტორიული ტრადიციებიდან გამომდინარე სტანდარტებზე.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ დემოკრატიზაციის საშუალებით შეიძლება შეიქმნას ჩინებულად მოქმედი, ჯანსაღი, დინამიკური ეკონომიკა, და განაგრძო: ჩვენ შევიმუშავეთ ახალი აგრარული პოლიტიკა. ლაპარაკია სოფლის მეურნეობაში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მსხვრევაზე. საარენდო ურთიერთობათა სხვადასხვაგვარი ფორმების საშუალებით მიმდინარეობს ბატონ-პატრონი გლეხის სტატუსის, მისი იმ უფლების აღდგენა, რომ თვითონ განაგებდეს მიწას, წარმოების საშუალებს და თავისი შრომის ნაყოფს. მიღებულ გადაწყვეტილებებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოფლის მეურნეობისათვის, არამედ საერთოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვისაც, თვით ჩვენი საზოგადოების განვითარების კონცეფციისთვისაც. ჩვენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში. და ამას გავაკეთებთ საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებთან ჩვენი ფედერაციული სახელმწიფოს ადაპტაციის დროს. ჩვენი ძირითადი პრინციპი — ძლიერი ცენტრი და ძლიერი რესპუბლიკები — ყველა ჩვენი ხალხის ნებას გამოხატავს.

ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტის, ყველა ჩვენი წამოწყების განხორციელების მძლავრი ბერკეტია პოლიტიკური სისტემის რეფორმა.

ამრიგად, ჩვენ ვქმნით კარგახსნილ, დემოკრატიულ, თავისუფალ საზოგადოებას, რომელმაც აითვისა თავისი წარსულის გაკვეთილები, საზოგადოებას, რომელიც ეყრდნობა კანონს, მოქალაქეთა პასუხისმგებლობასა და ინფორმირებას, მათს ინიციატივასა და თანსნობას, საბჭოთა სოციალისტურ პატრიოტიზმსა და ჰუმანური სოციალიზმის სასარგებლოდ არჩევნის ერთგულებას, რომლის მიზანია ადამიანის ამაღლება. საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაცია საერთაშორისო საქმეებში გულახდილობის დემოკრატიული ნორმების დამკვიდრების კალაპოტით მიმდინარეობს. ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების კურსი ემთხვევა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში სამართლის როლის გაძლიერების ტენდენციას. ჩვენი ეკონომიკური რეფორმა ითვალისწინებს სსრ კავშირის უფრო ღრმად ჩაბმას მსოფლიო ეკონომიკაში და, როგორც ჩანს, შეუძლია ხელი შეუწყოს ნამდვილად მსოფლიო ბაზრის, ახალი მსოფლიო ეკონომიკური წყობის ფორმირებას.

ბოლო წლებში შეიქმნა რეალური შესაძლებლობა გადაიშალოს ომისშემდგომი ისტორიის უკანასკნელი ფურცელი და გადაიდგას ნაბიჯი ახალ, მშვიდობიან პერიოდში.

მ. ს. გორბაჩოვმა დამსწრეთ შეახსენა, რომ ახალი პოლიტიკური აზროვნების საფუძვლები და პრაქტიკული დასკვნები განზოგადებული სახით მან ჩამოაყალიბა ნიუიორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, და თქვა: უკანასკნელი წლების გამოცდილება საშუალებას მაძლევს ვილაპარაკო მშვიდობიანი წყობის შესაძლებლობაზე, რომელიც შენდება არჩევის თავისუფლების პრინციპებზე, ინტერესების ბალანსზე, იარაღის არსენალების შემცირებისა და სამხედრო კონფრონტაციის შემცირების პირობებში. ჩვენ ამას საქმით ვამტკიცებთ და დავამტკიცებთ.

როგორც უკვე ვთქვი, 1989-1990 წლებში 500 ათასი კაცით, ესე იგი მათი საერთო რიცხვის 12 პროცენტით შევამცირებთ შეიარაღებულ ძალებს. სამხედრო ბიუჯეტი 14 პროცენტით და მეტად შემცირდება, ხოლო იარაღის წარმოება — თითქმის 20 პროცენტით. ამ პროგრამის რეალიზაციას უკვე შეუდექით. ვსარგებლობ შემთხვევით და გაცნობებთ, რომ ამას წინათ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება შეეწყვიტოთ მიმდინარე წელს დიდად გამდიდრებული ურანის წარმოება სამხედრო მიზნებისათვის. 1987 წელს დახურულ საიარაღო პლუტონიუმის გამოსამუშავებელი სამრეწველო რეაქტორის დამატებით ვაპირებთ წელს და გაისად დავხუროთ კიდევ ორი ასეთი რეაქტორი და აღარ შევქმნათ მის ნაცვლად ახალი სიმძლავრეები. ეს კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია იარაღის ხლეჩადი მასალების წარმოების სრული შეწყვეტის გზაზე.

საერთაშორისო პოლიტიკის დემილიტარიზაციის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ქიმიური იარაღის ლიკვიდაცია. ვაფასებთ დიდი ბრიტანეთის პოზიციას, რომელმაც იგი ცალმხრივი წესით მოსპო და საერთაშორისო კონფერენციაზე საკითხის დაყენების ინიციატორად მოგვევლინა. ჩვენ კარგი ორმხრივი თანამშრომლობა გვაქვს. ჩვენი ექსპერტები იყვნენ ბრიტანეთის პორტონ-დაუნის სამეცნიერო-კვლევითის ცენტრში, თქვენი სპეციალისტები კი ჩვენს ცენტრში. ჩვენ დავამთავრეთ ქიმიური იარაღის მოსპობის ობიექტის მშენებლობა და ვაპირებთ მალე მოვიწვიოთ იქ თქვენი წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირი მტკიცედ იღვაწებს ინისთვის, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს ყოვლისმომცველი საერთაშორისო კონვენცია ქიმიური იარაღის სრული აკრძალვისა და ლიკვიდაციის შესახებ.

ჩვენ მივიღეთ რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სამხედრო წარმოების კონვერსიის შესახებ. თავდაცვითი მრეწველობის ქარხნებისა და საკოსმოსტუტორო ბიუროების მნიშვნელოვანი ნაწილი და მასთან დაკავშირებული მეცნიერება ჩაება მოსახლეობისათვის საქონლის, მანქანების, მოწყობილობის, აგრარული სექტორის, მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვა ნაკეთობათა წარმოებაში. სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადადის სახალხო-სამეურნეო ტვირთნაკადების მომსახურებაზე. საბჭოთა კავშირმა რამდენიმე დიდი ნაბიჯი გადადგა თავისი სამხედრო საქმიანობის გამჟღვენების მიმართულებით. ჩვენ უკვე განვაცხადეთ, რომ მალე გამოვაქვეყნებთ ცნობებს ჩვენი თავდაცვითი ბიუჯეტის შესახებ. ამას ხელს მოჰკიდებს ახალი უმაღლესი საბჭო. ყოველივე ის არის, რომ არაკონვერტირებადი მანეთი ხელს უშლის ჩვენი ხარჯების ობიექტურ შეჯერებას დასავლეთის სამხედრო ხარჯებთან. ვეძებთ ჩვენი მონაცემების წარდგენის ყველაზე ადეკვატურ საშუალებას.

რაც შეეხება ჩვენი შეიარაღებული ძალების რაოდენობას, შემიძლია უკვე ახლა გაცნობით შემდეგი. ამა წლის 1 იანვრისათვის იგი შეადგენდა 4 მილიონ 258 ათასს, მათ შორის სახმელეთო ჯარებისა — მილიონ 596 ათასს, სამხედრო-საზღვაო ძალებისა — 437,3 ათასს. დანარჩენი — ეს არის საჰაკეტო ჯარები, საჰაერო დაცვის ჯარები, სამხედრო-საჰაერო ძალები და ოპერატიული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძალები. ჩვენი შეიარაღებული ძალების ცალმხრივად შემცირების შედეგად მათი საერთო რიცხვი 1990 წლის დამლევისათვის 3 მილიონ 760 ათასი იქნება. შესადარებლად: ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვი, ეროვნულ გვარდიასთან ერთად (ჩვენთან ასეთი კომპონენტები შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის) — სამ მილიონს აღემატება. თანაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების რაოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე საბჭოთა კავშირისა. ევროპაში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ნატოს სამხედრო პოტენციალების მონაცემები ჩვენ გამოვაქვეყნეთ. ისინი ცხადყოფს დაახლოებითს პარიტეტს.

თუ შევადარებთ საერთოდ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ნატოს შეიარაღებულ ძალებს, ვარშავის ხელშეკრულებისა და ჩრდილოატლანტიკური კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების შემცირების შესახებ. საბჭოთა და ამერიკული სტატეგიული შეტევითი იარაღის 50-პროცენტიანი შემცირების საკითხი კვლავ პირველ ადგილზეა შეერთებულ შტატებთან ჩვენი ურთიერთობის დღის წესრიგში. ჩვენ ზნად ვართ განვაახლოთ მოლაპარაკება ნებისმიერ ჟამს.

ევროპის პროცესის ახალ სივრცეებზე დიდი წინგადადგმული ნაბიჯი შეიძლება გახდეს კონფრენციები ჰუმანიტარულ პრობლემატიკასა და ადამიანის უფლებებზე. უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ მათ შორის პირველი იქნება საინფორმაციო ფორუმი ლონდონში, დასკვნითი კი — მოსკოვის კონფერენცია 1991 წელს.

მხოლოდ საერთო ძალისხმევით თანასწორუფლებიანობის პირობებში შეიძლება ავიცილოთ თავიდან კატასტროფული ძვრები მსოფლიო ეკონომიკაში. ისინი კი შეიძლება მოხდეს, თუ გადავდებთ რადიკალური და სამართლიანი გადაწყვეტის გზების ძიებას და პალიატივების იმედად ვიქნებით. ეკოლოგიის სფეროში საბჭოთა კავში-

(დასასრული ბე-2 გვ.).

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

8 აპრილს გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელშიც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციისთვის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების საკითხი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ამწყობმა ზეინკალმა ვახტანგ კუბლაშვილმა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა გოჩა ჩოგოვაძემ, პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა ნიკოლოზ ლეკიშვილმა, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ომარ ბაჭრაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა თემურ ხუროძემ, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა შოთა შიოშვილმა, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა სესილი გოგიბერიძემ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ბესარიონ ჯორბენაძემ, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ პარტიული კომიტეტის მდივანმა ამირან თალაკვაძემ, თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ მკერავმა ზეინაბ ყურაშვილმა, რესპუბლიკის მთავარმა სახელმწიფო არბიტრმა ალექსანდრე კავსაძემ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ რესან კონცელიძემ.

როგორც მოხსენებაში, ისე კრების მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა შექმნილი ვითარების ობიექტურ-სუბიექტური მიზეზები, ეროვნული ურთიერთობების ფაქტორის ეფექტური გამოყენება, ანარქიული ელემენტების ინსპირაციებზე ორიენტაციის ფაქტორი, ეროვნული ინტერესებისა, ეროვნული ღირებულებების ბოროტად ინტერპრე

იზრდება ნდობის პოტენციალი

(დასასრული)

რი იმოქმედებს ზუსტად არსებული შეთანხმებებისა და საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში და მალე შეუერთდება მათგან იმ შეთანხმებებსა და პროგრამებს, რომლებშიც დღემდე არ მონაწილეობდა.

დასასრულ მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობაში კეთილი ცვლილებები ხდება, და ყველა ბრიტანელ ოჯახს უსურვა ბედნიერება, კეთილდღეობა და მშვიდობა.

შემდეგ განცხადებით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი. მან თქვა:

ბატონო გორბაჩოვ! თქვენ დიდი პატივისცემით სარგებლობთ ბრიტანეთში როგორც დიადი ქვეყნის ლიდერი. თქვენი სახით ვხედავთ ერთ-ერთ იშვიათ ადამიანს, რომელსაც ახასიათებს შორსმჭვრეტელობა და ისეთი პირადი თვისებები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ შეცვალოს თავისი ქვეყნის მომავალი და ღრმა ზემოქმედება მოახდინოს მთლიანად მსოფლიოზე. თქვენ ლაპარაკობდით დღეს უდიდეს ცვლილებებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირში ხდება, ჩვენ უურადღებით ვადევნებთ ამას თვალს და გულწრფელად გისურვებთ, რომ წარმატებებს მიაღწიოთ თქვენი ამოცანის გადაწყვეტაში, რადგან გვჯერა საბჭოთა ხალხის უკეთესი ცხოვრების თქვენეული ხედვისა, ამავე დროს გვჯერა, რომ თქვენს ქვეყანაში ყოველი ნაბიჯი დიდი დემოკრატიის, ადამიანთა უფლებებისა და არჩევნის თავისუფლების გზაზე ერთმანეთთან გვაახლოებს. ჩვენ ყოველნაირად მზად ვართ დაგეხმაროთ პრაქტიკულად. აქ, ლონდონის ცენტრში, თავმოყრილია უმაგალითო გამოცდილების მქონე ვაჭრობა და ეკონომიკა, და აქ თქვენ დაინახავთ, რაოდენ დიდად გვაინტერესებს თქვენი ეკონომიკური რეფორმები და რაოდენ მზად ვართ ამ პროცესში მონაწილეობისათვის.

თქვენ ახსენეთ სიძნელეები, რომლებსაც გარდაქმნა განიცდის, რა თქმა უნდა, სიძნელეები არის, ისინი მუდამ დაკავშირებულია დიად წამოწყებებთან. ჩვენ გვჯერა, რომ ისინი დაძლეული იქნება, და ბოლო არჩევნებმა დაადასტურა ეს ჩვენი რწმენა.

ჩვენცა გვსურს ნაკლები იარაღი გვქონდეს იმ პირობით, თუ მუდამ უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი უშიშროება და თავდაცვა. ჩვენც ვამჯობინებთ ვწყვეტდეთ მსოფლიო პრობლემებს მოლაპარაკების მეშვეობით და არა ძალის გამოყენების გზით. ჩვენ აგრეთვე გვსურს ერთად ვიმოქმედოთ ფართო გლობალური პრობლემების გადაჭრაში. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, საერთო-ევროპულ სახლზე ლაპარაკობდით. ჩვენ ორივე გვსურს უშიშრად ვგრძნობდეთ თავს ამ სახლში. დასავლეთ ევროპის შიში შემცირდა, მაგრამ გრძელი გზა უნდა განვლოთ, სანამ იგი საბოლოოდ არ აღმოიფხვრება. ამ ბოლო ხანს უდიდესი და არსებითი ცვლილებანი მოხდა, და ჩვენ ვიწყებთ მოძრაობას ამ მიზნის მისაღწევად.

ჩვენ შევძლებთ ავაშენოთ და ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მომავალი, თუ საამისოდ გამოვიჩენთ ნებას, წარმოსახვის უნარსა და შეუპოვრობას. თქვენს შესანიშნავ სიტყვაში ბრძანეთ, რომ უკვე მოჰკიდეთ ხელი ამ ამოცანას. მოუთმენლად დაველოდებით იმ დღეს, როცა თქვენი ჩანაფიქრები, რომლებიც აქ ჩამოაყალიბეთ, ხორცს შეისხამს.

ჩვენ თქვენს სიტყვას უდიდესი ყურადღებით შევისწავლით. გისურვებთ თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს ყოველნაირ წარმატებებს, აყვავებასა და ყოველივე იმის განხორციელებას, რაც ჩაფიქრებული გაქვთ.

გილდჰოლში გამართული შეხვედრის დამთავრების შემდეგ საბჭოთა სტუმრები გაემართნენ ვინძორში — ინგლისის მეფეთა ქალაქგარე რეზიდენციაში. ლონდონიდან 37 კილომეტრზე მდებარე ციხე-დარბაზი სერზეა წამომართული თვალწარმტაც პარკებსა და მწვანე მდელოებს შორის.

მ. ს. გორბაჩოვსა და რ. მ. გორბაჩოვას დახვდნენ დიდი ბრიტანეთის მეფე ელისაბედ II და მისი მეუღლე, ედინბურგის ჰერცოგი პრინცი ფილიპე. ურთიერთმისალმების შემდეგ ედინბურგის ჰერცოგმა სთხოვა მ. გორბაჩოვს ჩამოეარა საპატიო ყარაულის მწყობრისათვის. საბჭოთა ხელმძღვანელს რუსულ უნაზ მიესალმა ყარაულის უფროსი.

ეღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. საუზმის შემდეგ, რომელიც დიდი ბრიტანეთის მეფემ გაუმართა საპატიო საბჭოთა სტუმარს, მ. ს. გორბაჩოვი გულთბილად გამოემშვიდობა ვინძორის ციხე-დარბაზის მასპინძლებს და ჰიტროუს აეროპორტისაკენ გაემართა.

მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვში დაბრუნდა

7 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვში დაბრუნდა დიდი ბრიტანეთიდან, სადაც ოფიციალურ ვიზიტად იყო ამ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიწვევით. იგი კუბას ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვია კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფიდელ კასტრო რუსის მიწვევით. კუბაში მიმავალი მ. ს. გორბაჩოვი ჩამოხდა ირლანდიის შენონის აეროპორტში, სადაც გაიმართა საბჭოთა კავშირ-ირლანდიის უმაღლესი დონის პირველი შეხვედრა.

მოგზაურობისას მ. ს. გორბაჩოვს ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი.

აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ვ. მ. ჩებრიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კანდიდატები ა. პ. ბირიუკოვა, ა. ვ. ვლასოვი, დ. ტ. იაზოვი, ა. ი. ლუკიანოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ო. დ. ბაკლანოვი და სხვა ამხანაგები.

დამჰვდეთთა შორის იყვნენ კუბის ელჩი სსრ კავშირში ხ. კამაჩო, სსრ კავშირი დიდი ბრიტანეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ნ. მარშალი და სსრ კავშირსა ირლანდიის დროებითი საქმეთა რწმუნებული დ. მაკინვარი. (საკდნი).

კვლავ ხალხმრავალი რომ გახდეს

● **ყაზბეგი.** („კომუნისტის“ საკ. კორ.). დაბაში დამთავრდა ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. კომფორტულ ბინებში ახალმოსახლეობა იზეიმა ათობით ოჯახმა, პირველ რიგში — დიდი სამამულო ომის მონაწილეებმა, წარმოების მონინაგეებმა. მწყობრში ჩადგა აგრეთვე ახალგაზრდული კლუბი, რომელიც უკვე ჭაბუკებისა და ქალიშვილების საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა.

ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა რაიონის სოციალური განვითარებისა და მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის. არშის საშუალო სკოლამ ახალ კაპიტალურ შენობაში დაიდო ბინა, სოფელ გარბანის ნორჩებმა საჩუქრად მიიღეს ბაგა-ბაღის ტიპიური შენობა. განსაკუთრებული სიხარული ხვდათ სოფლების: კობის, ყანობის, ხურთისის მოსახლეობას, რომელთა ოჯახებში, მთაზე დადგმული სარელეო ხაზის ამოქმედების შედეგად, ცისფერი ეკრანი აციმციმდა. ბუნებრივი გაზი მიიღეს სოფელ ხურთისის მცხოვრებლებმა. მალე ამ სიხარულს ჯუთელებიც გაიზიარებენ. საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები აშენდა დაბა ყაზბეგში, სნოსა და სიონში. დაბა ყაზბეგსა და სოფელ სიონის მცხოვრებთათვის ნყალსადენიც აშენდა და ყველა ოჯახი უზრუნველყოფილია მთის ანკარა წყლით. მიმდინარეობს გზის რეკონსტრუქცია და გაფართოება ცდოს, ართხმოს, თრუსოსა და ჯუთას მიმართულებით.

გარდაქმნა და განახლება იგრძნობა ყველგან. მშრომელთა აქტიური მონაწილეობით სპორტული მოედნები და კულტურისა და დასვენების პარკები მოეწყო აჩხოტსა და დაბა ყაზბეგში. „კომუნისტის“ საკ. კორ.).

მოვლენათა ქრონიკა

ში. აქვე მიმდინარეობს ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეკონსტრუქცია.

ყველაფერი კეთდება, რათა ამაღლდეს მშრომელთა კულტურისა და ცხოვრების დონე, რათა შენყდეს მიგრაცია და ხევი კვლავაც ხალხმრავალი გახდეს.

▼▼

გამარჯვებული ხომალდები

● **ბათუმი.** („კომუნისტის“ საკ. კორ). საქართველოს საზღვაო სანაოსნო შარშან თვითდაფინანსებასა და თვითანგარიშზე გადავიდა. შრომის ახალმა პრინციპმა სასურველი შედეგი გამოიღო. ერთსულოვანი შრომის შედეგი მთელი სანაოსნოს ეკონომიკას დაეჩნდა. საექსპორტო-საიმპორტო ტვირთის გადაზიდვის 1988 წლის გეგმა 117,8 პროცენტით შესრულდა, ხოლო მოსახლეობის ფასიანი მომსახურებისა — 110,8 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა მოგების, საკაბოტაჟო ტვირთნზიდვისა და სხვა დავალებებიც.

ახლახან შეჯამდა შარშანდელი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გამოვლინდა გამარჯვებულები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ვიმპელი, პირველი ფუნადი პრემია მიეკუთვნა „ბოლშევიკ კამოს“ ეკიპაჟს. სსრ კავშირის საზღვაო ფლოტისა და მეზღვაურთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ვიმპელი და მეორე ფუნადი პრემია კი „ხერსონის“ ეკიპაჟს.

პირველი ადგილი და საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და მეზღვაურთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ფუნადი პრემია მიეკუთვნა „თბილისსა“ და „ილია ჭავჭავაძეს“. მეორე ადგილი „დავით გურამიშვილსა“ და „ფოთის“ ეკიპაჟებს, მესამე ადგილი — „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს“, „მხატვარ სეროვისა“ და „ი. ბროზ ტიტოს“ ეკიპაჟებს.

სახმელეთო ორგანიზაციებს შორის პრემიები დაიმსახურეს ბათუმის საზღვაო სადგურის, ფლოტის ტექნიკური მომსახურების საზღვაო ბაზამ და საზღვაო ვაჭრობის კოლექტივებმა.

▼▼

იზრდება ფველადობა

●**დუშეთი.** („კომუნისტის“ საკ. კორ). შარშანდელი შესაბამის პერიოდთან შედარებით საშაბაროს მერძევეობის სამეურნეობათშორისო საწარმომ 30 ტონით გაზარდა რძის წარმოება.

როგორ მოხდა ასეთი მკვეთრი ზრდა? ამ შეკითხვაზე საწარმოს დირექტორმა გერმან ნაზღაიძემ გვიპასუხა: წინა წლებში არ გვყოფნიდა საკუთარი წარმოების საკვები და იგი სხვა რაიონებიდან შემოგვქონდა, რაც ძვირად გვიჯდებოდა. შარშან ყველა რეზერვი გამოვიყენეთ, ზოგიერთ ნაკვეთზე მოვიყვანეთ ორი მოსავალი, გავადიდეთ საკვები ძირხვენების წარმოება. ავამოქმედეთ საკვების დამამზადებელი საამქროც — პირუტყვს საკვები ეძლევა წინასწარ შემზადებული, დაორთქლილი და პრეტენებით გამდიდრებული. შევაკეთეთ პირუტყვის სადგომები, მწყემსთა საცხოვრებლები.

მოწინავე მწველავები ზაირა ჯინჭარაშვილი, ქეთო შაბურიშვილი, ნათელა ხოზორაშვილი და სხვები შარშანდელთან შედარებით ყოველდღიურად 750-800 კილოგრამით მეტ რძეს წველიან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

სსრ კავშირში არენდიტა საარენდო ურთიერთობის შესახებ

წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფისა და საწარმოო ძალების საფუძვლიანი თვისებრივი განახლების ღონისძიებათა სისტემაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება არენდას, როგორც სოციალისტური მეურნეობრიობის ახალ პროგრესულ ფორმას. ქვეყანაში საარენდო მოძრაობის განვითარების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ეფექტიანობის გაზრდის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების დამატებითი პირობების შექმნის, მოარენდეთა უფლებების დაცვის, შრომის საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევაში მათი დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ არენდით, ესე იგი ვადიან და ანაზღაურების სამეურნეო საგებლობაში, შეიძლება გადაეცეს:

ა) მიწა, სხვა ბუნებრივი ობიექტები;

ბ) სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი საწარმოს (ორგანიზაციის), გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ქონება, როგორც მათი ძირითადი ფონდების, სპრუნვავი სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური რესურსების ერთობლიობა;

გ) სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოების (ორგანიზაციების) საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმების, ბრიგადების, სხვა შინაგანი ქვეგანაყოფების ქონება;

დ) ცალკეული შენობები, სამეურნეო ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი და სხვა მატერიალური ფასეულობანი.

მიწისა და სხვა ქონების არენდა შეიძლება გამოიყენებოდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

2. არენდის მომცემნი შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანიზაციები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და ზოგიერთი საზოგადოებრივი საწარმო (ორგანიზაცია) და მოქალაქეები, რომელთა გამგებლობაში, მფლობელობაში, სარგებლობასა და განკარგულებაში (ოპერატიულ მმართველობაში) ან საკუთრებაში არის არენდით აღებული ქონება. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბუნებრივი რესურსების არენდით მიმცემნი შეიძლება იყვნენ აგრეთვე მათი პირველადი მოსარგებლენი.

მოარენდენი შეიძლება იყვნენ საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და ზოგიერთი საზოგადოებრივი საწარმო (ორგანიზაცია), მათ შორის მოარენდეთა ორგანიზაციები, მათი ქვეგანაყოფების კოლექტივები, აგრეთვე მოქალაქე ან მოქალაქეთა ჯგუფი. მოარენდეთა ორგანიზაცია იქმნება მხოლოდ ნებაყოფლობითის საწყისებზე და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით. აღნიშნული ორგანიზაციის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც სახელმწიფო საწარმოს მუშაკები, რომლის ბაზაზეც შექმნილია ეს ორგანიზაცია, ისე სხვა მოქალაქენიც, რომელთაც მიაღწიეს 16 წელს.

3. არენდით გადაცემული ქონება რჩება სახელმწიფოს ან არენდის გამცემის საკუთრებად. მოარენდეთა — კოოპერატორთა ან სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა (ორგანიზაციათა) და მოქალაქეთა მიერ წარმოებული პროდუქცია მათი საკუთრებაა. თუ მოარენდე საკუთარი სახსრებით და არენდის მიმცემის ნებართვით გაუმჯობესებს არენდით აღებულ ქონებას (შენობის რეკონსტრუქცია ან აგება, მოწყობილობის გამოცვლა და სხვა). ან საარენდო ნაკვეთზე ააშენებს შენობა-ნაგებობებს, მოარენდეს უფლება აქვს არენდის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ანაზღაურებინოს ამ მიზნით გაწეული საჭირო ხარჯები.

თუ მოარენდემ არენდის მიმცემის უნებართვოდ განახორციელა გაუმჯობესება, რომლის მომლა შეუძლებელია არენდით აღებული ქონებისათვის ზიანის მიყენებლად, გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება.

მთელი საწარმოს ქონების არენდით აღების დროს მოარენდეს უფლება აქვს ანაზღაურის არენდით აღებული ქონების გაუმჯობესებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯები, მიუხედავად იმისა, მისცა თუ არა ასეთი გაუმჯობესების უფლება არენდის მიმცემმა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით.

არენდის ხელშეკრულებაში, რომელშიც მოარენდედ გამოდის კოლმეურნეობა, სხვა კოოპერაციული ან ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ანდა მოქალაქე, შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ:

შენობები და ნაგებობანი, რომლებსაც მოარენდე ააშენებს არენდით აღებულ მიწის ნაკვეთზე საკუთარი ან სესხის სახსრებით, მისი საკუთრებაა;

არენდით აღებული ქონება, გარდა ობიექტებისა, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გადადის მოარენდის საკუთრებაში იმ პირობით, რომ ამ ქონების ღირებულება მთლიანად იფარება გადახდილი საარენდო საფასურით. ამასთან მოქალაქის საკუთრებაში შეიძლება გადავიდეს ქონება, რომელიც საჭიროა პირადი დამხმარე მეურნეობის. გასაძღოლად და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის.

მოარენდეთა ორგანიზაციის ლიკვიდაციის დროს ქონება, რომელიც რჩება ორგანიზაციის წევრებთან ანგარიშსწორების დამთავრების, ბიუჯეტის, ბანკებისა და სხვა კრედიტორების წინაშე ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, გადაეცემა არენდის მიმცემს.

4. იმ პირებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან სოფლის მეურნეობაში (გლეხთა მეურნეობებს), შეიძლება არენდით გადაეცეთ მიწის ნაკვეთები, რომელთა ზომა დგინდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, გლეხური მეურნეობის წევრთა პირადი შრომით მათი დამუშავების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

5. გლეხურ მეურნეობებს საწარმოო საქმიანობის განხორციელებისას შეუძლიათ კოოპერაციული კავშირურთიერთობა დამყარონ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ და ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, შექმნან გასაღებმომარაგების, გადამამუშავებელი, შემკეთებელი, სამშენებლო და სხვა კოოპერატივები.

თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობის გადიდებისა და კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნებისათვის გლეხურ მეურნეობებს შეუძლიათ მხოლოდ ნებაყოფლობითს საწყისებზე გაერთიანდნენ ტერიტორიულ კავშირებად.

6. მოარენდეთა ორგანიზაციის წევრები, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან სოფლის მეურნეობაში (გლეხურ მეურნეობათა წევრები), ექვემდებარებიან სოციალურ უზრუნველყოფას და სოციალურ უზრუნველყოფას მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად. მოარენდეთა ორგანიზაციებსა და გლეხურ მეურნეობებს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში შეაქვთ თავიანთი შემოსავლის ანარიცხები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით. მოარენდეთა ორგანიზაციაში ან გლეხურ მეურნეობაში მუშაობის პერიოდი, რომლის განმავლობაში იხდიდნენ სადაზღვევო შენატანს, შედის შრომითს სტაჟში.

7. შიდასამეურნეო არენდით მიწის მიცემის საკითხს წყვეტენ საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა ან სხვა პირველადი მიწათმოსარგებელი. საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ან სხვა მიწათმოსარგებლის მიერ თავის მუშაკებისათვის (კოლმეურნეობის წევრებისათვის) მიწის მიცემაზე უსაფუძვლო უარისთქმა შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სახალხო დეპუტატთა რაიონულ (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჩამოართვან გამოუყენებელი ან არარაციონალურად გამოყენებული მიწები არენდით მიწის გადასაცემი ფონდის შესაქმნელად.

8. ძირითადი დოკუმენტი, რომელიც მოარენდესთან არენდის მიმცემის ურთიერთობას არეგულირებს, არის არენდის ხელშეკრულება. იგი იდება მხარეთა ნებაყოფლობითობისა და სრული თანასწორუფლებიანობის საწყისებზე. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს საკონკურსო საფუძველზე.

არენდის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია: არენდის მიმცემის მოვალეობაა მისცეს მოარენდეს ქონება ხელშეკრულების პირობების შესაბამის მდგომარეობაში გარკვეული ვადით, მოარენდის მოვალეობაა გამოიყენოს ქონება ხელშეკრულების პირობების და ქონების დანიშნულების შესაბამისად პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) წარმოებისა და შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით, ჰქონდეს ქონება წესიერ მდგომარეობაში, შეიტანოს საარენდო გადასახადი და დაუბრუნოს ქონება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ არენდის მიმცემს ის მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მიიღო, გაცვეთის ან ხელშეკრულებით განპირობებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების მესამე მუხლის მეოთხე ნაწილით.

არენდის ხელშეკრულებაში შეიძლება იყო სხვა პირობებიც, მათ შორის არენდის მიმცემის მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, წარმოების განვითარების ხელშეწყობის, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, წარმოების ტექნიკური განახლების, სოციალური განვითარების, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა დახმარების გაწევის, კადრების მომზადებაში ხელშეწყობის, არენდით აღებული ქონების ეფექტიანი გამოყენებისა და მისი სათანადო ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების, აგრეთვე არენდის მიმცემისა და მოარენდის ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ პირობების შექმნისათვის.

მოარენდის მიერ ხელშეკრულებით მიღებული ქონების სუბარენდით ჩაბარება შეიძლება მხოლოდ არენდის მიმცემის თანხმობით. არენდით აღებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთი სახეობიდან მეორეში გადაყვანა შეიძლება მხოლოდ მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მოარენდეს უფლება აქვს გამოიყენოს საკუთარი საჭიროებებისათვის არენდით აღებულ მიწის ნაკვეთზე არსებული საერთოდ გაურეცელებული სასარგებლო წიაღისეული, ტორფი და წყლის ობიექტები, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული არენდის ხელშეკრულებით.

შიდასამეურნეო არენდის (საარენდო იჯარის) დროს მოარენდე კისრულობს მოვალეობას აწარმოოს და მიჰყიდოს არენდის მიმცემს ან სხვა საწარმოებს პროდუქცია ხელშეკრულების თანახმად. მოარენდეს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ხელშეკრულებაში აღნიშნული მოცულობის გადაჭარბებით წარმოებული პროდუქცია.

საარენდო იჯარის ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავენ მხარეები მუშა-მოსამსახურეთა შრომის შესახებ კანონმდებლობის, აგრეთვე იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც აწესრიგებს კოლმეურნეობების, სხვა კოოპერატივებისა და ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრების შრომითს ურთიერთობას.

9. არენდის ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან გაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

ერთ-ერთი მხარის განცხადებით არენდის ხელშეკრულება შეიძლება შეცვალოს ან გაწყვიტოს სასამართლომ ანდა არბიტრაჟმა.

შიდასამეურნეო არენდის (საარენდო იჯარის) დროს ხელშეკრულების შეცვლის ან გაწყვეტის საკითხს წყვეტს საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭო (კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება). საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭოს (კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების) გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

10. არენდის ვადებს განსაზღვრავს ხელშეკრულება. ამასთან საწარმოთა მიწის, შენობების, ნაგებობებისა და ქონების არენდას საერთოდ, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს გრძელვადიანი ხასიათი — 5-დან 50 წლამდე და უფრო ხანგრძლივი ვადაც. ქონების ხასიათისა და არენდის მიზნების გათვალისწინებით ხელშეკრულება შეიძლება იყოს მოკლევადიანიც — 5 წლამდე.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოარენდეს, რომელმაც ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობანი, უფლება აქვს განაახლოს ხელშეკრულება.

თუ ერთ-ერთ მხარეს არ განუცხადებია ვადის გასვლის შემდეგ, რომ წყვეტს ხელშეკრულებას, ხელშეკრულება გაგრძელებულად ითვლება იმავე ვადით, რომელიც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით.

მოარენდე-მოქალაქესთან ხელშეკრულების გაწყვეტისას არენდის ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლება აქვთ მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ და მუშაობენ.

მოარენდის სიკვდილის შემთხვევაში მოარენდის უფლებები გადადის ერთ-ერთ მემკვიდრეზე, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა და მუშაობდა მის სიკვდილამდე.

არენდის ხელშეკრულების შეწყვეტისას მოარენდესა და მისი ოჯახის წევრებს რჩებათ საცხოვრებელ სახლსა და სხვა ქონებაზე საკუთრების უფლება და საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლება.

11. არენდის ქირა შეიძლება დაუწესდეს არენდით აღებულ მთელ ქონებას ერთობლივად ან ცალკე არენდით აღებული ქონების თითოეული ობიექტის მიხედვით ნატურალური, ფულადი და შერეული ფორმებით. არენდის ქირის ოდენობას და მისი შეტანის წესს განსაზღვრავს ხელშეკრულება.

მიწისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების მათი პირველადი მოსარგებლის მიერ არენდით გადაცემის დროს არენდის ქირას არენდის მიმცემი იღებს იმ ნაწილში, რომელიც ფარავს ამ ობიექტების მოვლა-შენახვისა და გაუმჯობესების, აგრეთვე მოარენდის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი საწარმოო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხარჯებს. არენდის ქირის დარჩენილი ნაწილი მიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო), ქალაქის რაიონული საბჭოს შემოსავალში.

არენდის ქირასთან ერთად მოარენდე (გარდა საწარმოთა ქვეგანაყოფების კოლექტივებისა) იხდის გადასახადებს (ბიუჯეტის გადასახადელებს) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი, რომელსაც იღებენ მოარენდეები მათ მიერ მიწის ნაყოფიერების მომატების, აგრეთვე საწარმოო ობიექტებისა და სხვა ქონების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, არ იწვევს არენდის ქირის მატებას.

არენდის ქირის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებისამებრ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებით, მაგრამ მაქსიმუმ ხუთ წელიწადში ერთხელ. ისინი შეიძლება გადაისინჯოს ვადამდე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა საექსპლოატაციოდ გადაეცემა ან ხდება ძირითადი ფონდების მოდერნიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ან არენდის მიმცემის სახსრებით, გადაისინჯება ცენტრალიზებული წესით დადგენილი ფასები და ტარიფები, და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მოარენდეს უფლება აქვს მოითხოვოს არენდის ქირის შესაბამისი შემცირება, თუ გარემოებათა გამო, რომლებისთვისაც იგი პასუხს არ აგებს, მეურნეობრიობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, ან არენდით აღებული ქონების მდგომარეობა არსებითად გაუარესდა.

12. მოარენდე დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი სამეურნეო საქმიანობის მიმართულებებს და იყენებს მის მიერ წარმოებულ პროდუქციას (სამუშაოებს, მომსახურებას) და მიღებულ შემოსავალს მოქმედი კანონმდებლობისა და არენდის ხელშეკრულების შესაბამისად. არენდის მიმცემის ჩარევა არენდით აღებული ქონების გამოყენებაში, მოარენდის სამეურნეო საქმიანობაში დაუშვებელია.

13. არენდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ კანონმდებლობით და ხელშეკრულებით დადგენილი პასუხისმგებლობა.

მოარენდე მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან, თუ ისინი ვერ შესრულდა სტიქიურ უბედურებათა ან სხვა გარემოებათა შედეგად, რომლებშიც ბრალი არ მიუძღვის.

14. მოარენდისათვის უზრუნველყოფილია ქონებაზე მისი იმ უფლების დაცვა, რომელსაც იღებს არენდის ხელშეკრულებით, საკუთრების უფლების მიმართ სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი დაცვის თანაბრად. მას შეუძლია გამოითხოვოს არენდით აღებული ქონება ნებისმიერი უკანონო მფლობელობიდან, მოითხოვოს ქონების სარგებლობაში დაბრკოლებათა აღმოფხვრა, ქონებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება ყველა პირის, მათ შორის არენდის მიმცემის მიერ.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის არენდით გადაცემული მიწის ნა

● ჟურნალი „კრილია როდინი“ 1987 წლის № 8-ში წერდა: „დიდი სამამულო ომის წლებში სსრ კავშირის 1942 წლის ბოლოს ლენდ-ლიზით შეიძინა 200 ამერიკული გამანადგურებელი თვითმფრინავი „პ-47“ „თანდერბოლტი“ („მეხთმფრქვეველი“). თავისი ტექნიკური პარამეტრების კომპლექსით ავიაციის კონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველის პირმშო „მეხთმფრქვეველი“, ალბათ, ყველაზე მეტად გამოირჩეოდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ყველა სერიულ ხრთმოტორიან ავიაგამანადგურებელს შორის. ეს მანქანა ღირდა 83.000 დოლარი, მაშინ, როცა „მუსტანგი“ — 51.000, „აერაკობრა“ — 50.000, „აიტიპაუკი“ — 44.000 და ა. შ“...

ცხადი იყო, რომ ალ. ქართველი, ქართველიშვილია! დავიწყე ცნობების შეგროვება ამ ავიაკონსტრუქტორის შესახებ.

1988 წლის ივლისში შეერთებულ შტატებში ყოფნისას ჭ. ბოსტონიდან ნიუ-იორკში მივიღე საარქივო მასალა ალ. ქართველიშვილის შესახებ. იგი გამომიგზავნა აშშ-ში მცხოვრებმა ცნობილმა სწავლულმა და ინჟინერმა ოთარ ზალდასტანიშვილმა). მასალებთან ერთად გამოგზავნილ პირად წერილში ბატონი ოთარი მწერდა, ჯერჯერობით მხოლოდ ამ მასალებს მივაკვლიე გრამანის საავიაციო კომპანიის ბიბლიოთეკის არქივში, შევეცდები დამატებითი მასალებიც მოვიძიო აშშ-ს ამ ერთ-ერთი წამყვანი ავიაკონსტრუქტორის, საქართველოს უიღბლო შვილის ალ. ქართველიშვილის შესახებ.

ზემოაღნიშნულ მასალებს დავუმატე საქართველოში ძუნწად არსებული, განეული ცნობები. შეჯერების შედეგად შესაძლებელი გახდა გადმოგვეცა ჩვენი თანამემამულის — ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის, მფრინავის, ინჟინრის, მათემატიკოსის, ავიაკონსტრუქტორის ალ. ქართველიშვილის დაძაბული ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავი დეტალები.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ მასშტაბის ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე მიხეილის ძე ქართველიშვილი დაიბადა 1896 წლის 26 სექტემბერს თბილისში, მოსამართლის ოჯახში. დედას, ელენეს დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი. ქართველიშვილის ოჯახი ახლანდელ გალაკტიონ ტაბიძის 21 ნომერში ცხოვრობდა.

„დედაჩემისგან გამიგია, — იგონებს საქართველოს სახალხო მხატვარი დიმიტრი ერისთავი, — ბიძაჩემი ალექსანდრე (საშა) უაღრესად გულთბილი, მეოცნებე და კეთილი ბუნების ბავშვი იყოო. მისი სტიქია სიერცის შეგრძნება და ბუნების ჭვრეტა ყოფილა. თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჭაბუკს სამხედრო სარბიელი აურჩევია: 1917 წელს თბილისის მიხეილის სახელობის იუნკერთა სასწავლებელი დაამთავრა ფოიერვერკის განხრით. სასწავლებელში გატაცებული იყო ავიაციით, მშობლების მალულად დადიოდა ჰაერნაოსნობის წრეში. 1917 წელს ბიძაჩემი ფრონტზე გაიწვიეს და თავად ბარათაშვილის კორპუსში ერთ-ერთი ბატარეის მეთაურად დანიშნეს“.

„თურქეთის ფრონტზე, — წერს ალ. ქართველიშვილი, — ავიატორები არტილერისტებს გვეხმარებოდნენ საარტილერიო ცეცხლის კორექტირებაში, რომელიც 1917 წლის ზაფხულში პირველად კავკასიის ფრონტზე განხორციელდა. ერზინჯანის ველზე განლაგებული იყო კაპიტან მ. მაჭავარიანის ავიარაზმის აეროდრომი. მთელ თავისუფალ დროს მათთან ვატარებდი და ფრენას ვსწავლობდი“.

თურქეთის ფრონტზე ყოფნისას ალ. ქართველიშვილმა მტკიცედ გადაწყვიტა ემხდარიყო ჯერ მფრინავი, ხოლო შემდეგ — ავიაკონსტრუქტორი. მართალია, ავიაციამ ჯერ კიდევ ვერ დაიკავიდრა კუთვნილი ადგილი სარდლობის ოპერატიულ აზროვნებაში, მაგრამ სამხედრო თეორეტიკოსები მიხვდნენ და განჭვრიტეს ავიაციის სიდიადე, რომ „დრედნოუტი გარდაიცვალა, მომავალი ავიაციას ეკუთვნის“ (ადმირალი სერ პერსი სკოტი). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი აეროპლანები სასპორტო დანიშნულებისა უფრო იყო, ვიდრე საბრძოლო. აქ ერთმანეთს ერწყმოდა ჭაბუკური მცდელობა, თავზეხელაღებული სიმამაცე და ცნობისმოყვარეობა.

ჭაბუკ ალ. ქართველიშვილზე წერდნენ: „ამ ბრგე, სპორტული აღნაგობის ადამიანში, მის ამაყ თავდაჭერასა და მტკიცე მზერაში იგრძნობოდა ქედუხრელი ნებისყოფა, უმკაცრესი დისციპლინა, შეგნებული პატრიოტი შეიძინეს შვეიცამ, იაპონიამ და ჩინეთმა. ალ. ქართველიშვილი მსოფლიოში აღიარებული ავიაკონსტრუქტორი გახდა.

ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ც. დანიელსი წერს: „...ისინი თითქოს ავსებდნენ ერთმანეთს. ევროპულ ტრადიციებზე აღზრდილმა, მეფის რუსეთის პირველი კლასის მფრინავმა ომის დროს მტრის 13 აეროპლანი ჩამოაგდო. ბრწყინვალე ნიჭით, დარწმუნების უნარით დაჯილდოებული სევერსკი ხმამაღლა ქადაგებდა ავიაციის ძლევამოსილებას, თან აკრიტიკებდა აშშ-ის პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ჩამორჩენილობას ავიაციაში. ამავე დროს დიხჯი, მოკრძალებული, გამრჯე, სიმპათიური, ყველასთვის უცნობი ქართველი ვაჟკაცი აეცოცლებდა რკინას, ფოლადსა და ხეს, ხორცს ასხამდა თავისსა და ალ. სევერსკის იდეებსა და პროექტებს“.

ლეგენდარული ავიაკონსტრუქტორი

ქცევის სისტემა. მისთვის უცხო იყო ახალგაზრდული თავაშვებულობა, არ უყვარდა ყველასთვის გულის გადასნა, თუმცა არც გულჩახხრობილი ეთქმოდა. მაგრამ ჭაბუკურ ემოციებს, ბუნებრივია, ვერ დაიოკებდა, რაღაც გამოსავალი სჭირდებოდა და ამიტომაც იყო, რომ ყოფილი „შეკარდენისტი“ გატაცებით მისდევდა ტანვარჯიშს“.

მოსამართლის ვაჟი, პორუჩიკი ალ. ქართველიშვილი ფრონტიდან ფეხში დაჭრილი შინ გამოუშვეს. სწორედ ამ დროს დაიდო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, რომლითაც საბჭოთა რუსეთი ომიდან გამოვიდა. გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ნ. ჟორდანიას მთავრობამ ალ. ქართველიშვილი 1919 წელს პარიზში გაგზავნა სამხედრო განათლების დასასრულებლად — სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს არტილერიის ექსპერტი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მისი პარიზში ყოფნისას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. ალექსანდრე სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა, სამუდამოდ განშორდა მამასა და დას. ვაჟიშვილს დედაც თან გაჰყვა და ოჯახი სამუდამოდ გაიყო.

სამშობლოს გარეთ დარჩენილმა ახალგაზრდამ ფხიზლად შეაფასა შექმნილი ვითარება, გაითვალისწინა ავიაციის მომავალი, მისი როლი, და სწავლას დაეწაფა. ჯერ დაამთავრა აეროკლუბი, შემდეგ სწავლა განაგრძო უმაღლესი საავიაციო სასწავლებლის საინჟინრო ფაკულტეტზე. თავი და დედა რომ ერჩინა, საავიაციო და ტანვარჯიშულ ასპარეზობებში მონაწილეობდა, თან კერძოდ ასწავლიდა მათემატიკას, რომელიც ბრწყინვალედ შეისწავლა თბილისის იუნკერთა სასწავლებელში ბალისტიკის თეორიის დამუშავების დროს. იმავდროულად ელექტროკოს-ინჟინრის დიპლომიც მიიღო ელექტროტექნოლოგიის უმაღლეს სასწავლებელში. მუშაობა დაიწყო საფრანგეთის პირველი მფრინავის ლ. ბლერიოს საავიაციო კომპანიაში. აქ ალ. ქართველი თვითონ სცდიდა აეროპლანების (შემდეგ თვითმფრინავების) მოდელებს. ერთ-ერთ გამოცდისას ავიაკატასტროფაში მოხვდა, რაკაც კისრის მალის მოტეხილობა და ხერხემლის მალის გაბზარვა მოჰყვა. სოლეტური აღნაგობის ახალგაზრდა ძალე გამოჯანსაღდა და კვლავ საცდელ ფრენებსა და პროექტებს დაუბრუნდა.

1927 წელს ალ. ქართველიშვილი პარიზში შეხვდა მფრინავ-რეკორდსმენს, ექსცენტრიკულ ჩარლზ ლევინს, რომელმაც მფრინავ კლარენს ჩემბერლენთან ერთად განახორციელა ძირსდაუშვებელი გადაფრენა ამერიკიდან გრენლანდიამდე. ჩ. ლევინი აღფრთოვანებული დარჩა ალ. ქართველიშვილის პროექტებით, მომავალი გეგმებით და აშშ-ში მიიწვია თავის ასისტენტად თვითმფრინავმშენებლობაში. მისი და ქალბატონ ელენეს სამგზავრო ხარჯებიც თვითონ გაიღო.

ალ. ქართველიშვილმა, ტრანსატლანტიკური თვითმფრინავის მოდელზე დაიწყო მუშაობა ლონგ-აილენდში. შრომა საკმაოდ ძნელ პირობებში უხდებოდათ, რადგან არ ჰქონდათ აეროდინამიკური მილი, საცდელი ლაბორატორია. ალექსანდრემ ინგლისური არ იცოდა, ლევინმა — ფრანგული და რუსული, ერთმანეთს დამტვრეული გერმანულით ელაპარაკებოდნენ, ამის მიუხედავად საქმე წინ მიდიოდა. როგორც იქნა, თვითმფრინავის აგება დამთავრდა, რამდენიმე საცდელი ფრენაც შეასრულეს. სამწუხაროდ, ხანძარმა შთანთქა ალ. ქართველის პირმშო. იმედგაცრუებულმა ალექსანდრემ დატოვა ლევინის ავიაკომპანია და ფოკერის ავიაკორპორაციაში გადავიდა მთავარი ინჟინრის ასისტენტად. ორი წლის შემდეგ იგი თავის კორპორაციაში მიიწვია პირველი მსოფლიო ომის ცნობილმა რუსმა ასმა, აშშ-ში ემიგრირებულმა ალექსანდრე დე სევერსკიმ.

ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ ლაბორატორიები და აეროდრომები განლაგებული იყო ფარმინგდეილში (ლონგ-აილენდი). სევერსკიმ და ქართველიშვილმა რამდენიმე მოდელი შექმნეს: „სევერსკი-3“ „სევერსკი-8“, სავარჯიშო თვითმფრინავი „ხპ-1“. „ხპ-1“-ის მოდელი ქართველიშვილისთვის გამანადგურებლის პროტოტიპად იქცა. სევერსკის თხოვნით, მან დააპროექტა ამფიბია, რომელსაც ტექნიკური თვალსაზრისით წარმატება ხვდა, მაგრამ ფინანსურად მარცხი განიცადა. სევერსკიმ მისი გადაკეთება სთხოვა და ალექსანდრემაც ძალე ახალი ორადგილიანი „პ-35“ სამხედრო მანქანა ააგო, რომელიც საათში 300 მილს ანვითარებდა. ეს თვითმფრინავი პოპულარული გახდა აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავებს შორის. მათ მონაწილეობა მიიღეს აშშ ეროვნულ საჰაერო ასპარეზობაში და სპორტულ ღონისძიებებში. „პ-35“-ის დიდი სამხედრო-საჰაერო ძალებთან შეთანხმებით ალ. ქართველიშვილმა უფლება მოიპოვა გამოეშვა რამდენიმე „პ-35“ თვითმფრინავი პირადი ხმარებისთვის. ამ მანქანებს მართავდა აშშ-ის მფრინავთა და სპორტსმენთა ელიტა: კოჩნან ოლდუმი, ფრენკ ფულერი, ფრენკ სინკლერი, თვით ა. სევერსკი და სხვები. ა. ქართველიშვილის ამ სპორტული მანქანით მფრინავებმა უამრავი პრიზი და ჯილდო მოიპოვეს, რაც მთავარია, ალ. ქართველი უადრესად პოპულარული გახდა, ხოლო კორპორაციამ სოლიდური შეკვეთები მიიღო.

1937-1939 წლები „ოქროს ხანა“ იყო ა. სევერსკისა და ა. ქართველიშვილისათვის. მათი პროდუქცია ყოველწლიურად იმარჯვდა აშშ-ის ყველაზე პრესტიჟულ ბენდიქსის პრიზზე გამართულ ავიასპორტულ ასპარეზობებში. ამ თვითმფრინავით დამყარდა ექვსი მსოფლიო რეკორდი სიჩქარეში. „პ-35“-ის კომერციული ვარიანტიც გამოუშვეს. მანქანა შეისყიდა შელის ნავთობის კომპანიის ვიეე-პრეზიდენტმა მაიორმა დელიტლმ. „პ-35“-ის პარალელურად, სევერსკის პატივსაცემად, ალ. ქართველიშვილმა ააგო ახალი თვითმფრინავი „სევერსკ-16 ჰ“. კორპორაციამ თვითმფრინავი სამხედრო-საჰაერო ძალებს შესთავაზა. სამხედრო სპეციალისტებმა იგი დაიწუნეს, მოითხოვეს რამდენიმე ცვლილების შეტანა სიჩქარის გასაზრდელად. ალ. ქართველიშვილმა ეს მოთხოვნები შეასრულა. ამჯერად მანქანა მოიწონეს და 77 თვითმფრინავზე გააფორმეს კონტრაქტი, რამაც კორპორაცია „რიპაბლიკ ავიეშენი“ ფინანსური მომძლავრების გზაზე დააყენა. 100-მდე თვითმფრინავიც შეეციას მიაყიდეს.

1938 წელს კორპორაციის სამხედრო ელიტის ზეგავლენით ალ. სევერსკიმ უარი თქვა განეგრძო მუშაობა თავის მიერ დაარაკებულ ორგანიზაციაში. კორპორაციას სახელი შეუცვალეს, დაარქვეს „რიპაბლიკ ავიაკორპორეიშენი“. პრეზიდენტად რალფს დამონი აირჩიეს, ვიეე-პრეზიდენტად — ალ. ქართველიშვილი. კორპორაციის ხელმძღვანელობამ ალ. ქართველიშვილი მთავარ ინჟინრად დანიშნა და თვითმფრინავების გამოშვებისთვის პასუხისმგებლობა დააკისრა.

ალ. ქართველიშვილმა ომის წინა წლებში ააგო „ხპ-41“, „აპ-4“, „პ-43“ მანქანები. ამ უკანასკნელს ლენსერი დაარქვეს, სამხედრო-საჰაერო ძალებმა კორპორაციას კონტრაქტი დაუდო 259 „პ-43“-ის მიწოდებაზე. ბევრი მათგანი ჩინეთმაც შეისყიდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ სათანადო მოთხოვნები წაუყენა ავიამაშენებლებს, ახალი პრობლემების წინაშე დააყენა ალ. ქართველიშვილიც. მან „პ-35“-ზე დაყრდნობით ააგო უნივერსალური მრისხანე ავიაგამანადგურებელი „პ-47“ „თანდერბოლტი“ („მეხთმფრქვევი“). 1940 წლის სექტემბერში ალ. ქართველიშვილს კორპორაციას თავდაცვის სამინისტრომ 56.400.923 დოლარის კონტრაქტი დაუდო ამ თვითმფრინავის მიწოდების თაობაზე, თან მოწოდების უზრუნველყოფაც მოითხოვა.

ალ. ქართველიშვილი იგონებდა: „ჩაიფიქრო და შექმნა საფრენი მანქანა, დიდი არაფერია. ააშენო იგი — არც ეს არის დიდი ბედენა. მთავარია დედამიწას მოსწყვიტო იგი და ცად აიჭრა. ადრე ვერც მე და ვერც ჩემი თანამშრომლები ვერ წარმოვიდგენდით, როგორ განვითარდებოდა ეს უბრალო „მეხთმფრქვევი“ მომავალში. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა; შემკვეთის მადლობაც დავიმსახურეთ. მანქანა თვითონ გამოვცადე. მე ჩემი პირმშო რვა ტყვიამფრქვევით აღვჭურვე, რათა საჭიროების შემთხვევაში სათანადოდ „დაეკიცხა კბილები“. მანქანა სტრატოსფეროს ქვედა ფენებში ფრენისთვის იყო განკუთვნილი, შეეძლო ბომბდამშენების ექსკორტირება, შეტევაზე გადასვლა, მტრის იერიშის მოგერიება, პიკირებისას დაბომბვა. 1942 წელს, ჩემი 48 ახალი თვითმფრინავი „ეპ-106“ ფილიპინებზე გადაისროლეს იაპონელების წინააღმდეგ აქციებში მონაწილეობის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ფ. რუზველტი გამოშვებული თვითმფრინავების 50 პროცენტს ინგლისს უთმობდა“.

1941 წელს ალ. ქართველიშვილმა შექმნა ახალი ავიაგამანადგურებელი, ცნობილი „ბეჰემოთი“.

ჟურნალისტი ც. დანიელსი წერს: „1941 წელს ა. ქართველის, როგორც კორპორაციის მთავარი ინჟინრის, ხელფასი 25.000 დოლარს შეადგენდა და 200-კაციან საინჟინრო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. თუ რაიმე რთული პრობლემა წამოიჭრებოდა, წამყვანი ინჟინრები მის კაბინეტში იყრიდნენ თავს. იგი ამ საკითხის შესახებ ყველას თვალსაზრისს ისმენდა, წყნარად და მოთმინებით, როგორც ექვანი მასწავლებელი, რომელიც სწორ პასუხს არავისგან მოელის. შეხვედრებს მცირე დრო ეთმობოდა. გადაწყვეტილებათა მიღებისას წამიც რომ არ დაკარგულიყო, ალ. ქართველი თან სხვებს უსმენდა, თან გონებაში ანგარიშობდა და ყოველთვის რაღაც დასკვნამდე მიდიოდა. იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი გაღიზიანებული იყო თავის ინჟინერთა წინადადებით, ჩვეული ქართული აქცენტით წამოძახებდა ხოლმე, „ეშმაკმა დალახვროს, კარგი არაფერიაო“, და ყველა ხვდებოდა, რომ ა. ქართველი უკმაყოფილოა, განრისხებულია. მიუხედავად ამისა, ინჟინრები მას ეთაყვანებოდნენ, უდიდეს პატივს სცემდნენ მის მახვილ კრიტიკას“.

„თანდერბოლტის“ ახალი მოდიფიკაციის გამოცდის თაობაზე ალ. ქართველიშვილი იგონებს: „იგი ავაგე, როგორც ტანკი. მაკი ფრენის სიშორე 12000 მილს უდრიდა. როდესაც გამოვცადე ფრთების გრეხითი რხევების ციკლი, აღმოჩნდა, რომ იგი დაახლოებით 1400 ციკლს უდრიდა წამში. საბრძოლო მანქანების უმრავლესობას 2700 ციკლი ჰქონდა. ავიაციის სპეციალისტებმა მოშთხოვეს სიხშირის გაზრდა, რაც გარკვეულ კონსტრუქციულ ცვლილებებსაც გამოიწვევდა. საბედნიეროდ შევიტყვე, რომ მფრინავმა ალისმა ხელთ იგდო „მესერშმიტ-109“. გიიზომა მისი ფრთების გრეხითი რხევების სიხშირე, აღმოჩნდა, რომ იგი „თანდერბოლტისაზე“ დაბალი იყო და მხოლოდ 900 ციკლს უდრიდა. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ თამამად განვუცხადე ავიაციის ექსპერტებს, გირჩევნიათ ჰიტლერს დეპეშა გაუგზავნოთ და თავისი თვითმფრინავები ჩაბარებინოთ, ისინი მაინც არაფრად არ ვარგა-მეთქი, კომისია დათანხმდა „თანდერბოლტის“ ამ მოდელს“.

სულ მოკლე ხანში ალ. ქართველიშვილმა „თანდერბოლტის“ ახალი მოდელი „ხპ-47-პ“ შექმნა. აღჭურვა დამჭერებით — სპეციალურად „შურისგების იარაღის“ „ფაუ 1“-ის წარსატაცად, რაშიც გამოვლინდა მისი ელვარე ნიჭი. მანქანა გამიზნული იყო აგრეთვე შორ მანძილებზე ოპერაციების ჩასატარებლად. ეს მოდელი საგანგებოდ წყნარი ოკეანის აუზში ოპერაციებისთვის დაიპროექტა. საწვავის მარაგი 556 ბალონამდე გაზარდა, ხოლო წონა 12000 გირვანქამდე შეამცირა. ამ მოდელის 354 თვითმფრინავი გამოუშვეს, დაიკომპლექტეს მე-8 და მე-15 საჰაერო არმიები ევროპაში სამოქმედოდ და 56-ე და 57-ე რაზმები იაპონის წინააღმდეგ აქციებისათვის.

ნიურნბერგის პროცესზე ფერლდმარშალმა კეიტელმა აღიარა, დასავლეთში მოკავშირეთა ჯარების გამარჯვება უმთავრესად ავიაციამ განაპირობაო. უდავო ფაქტია, რომ ამ სამქმეში „თანდერბოლტს“ დიდი წვლილი მიუძღვის. მეორე მსოფლიო ომის საჰაერო ბრძოლებში ამ მანქანამ საპატიო ადგილი დაიკავა. ა. ბროფის აზრით, სტატისტიკა შთამბეჭდავი იყო: „თანდერბოლტებმა“ ჰაერში გაატარეს 1.934.000 საათი, შინ უკერ დაბრუნდა 0,7 პროცენტი. მოსპეს ან დააზიანეს მოწინააღმდეგის 11.874 თვითმფრინავი, 86.000 სარკინიგზო ვაგონი, 9.000 ლოკომოტივი, 16.000 ერთეული სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალება და დიდძალი საბრძოლო ტექნიკა. „თანდერბოლტი“ ემსახურებოდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, ბრაზილიისა და მექსიკის სამხედრო-საჰაერო ძალებს.

ᲛᲔᲡᲘᲡ დამთავრების შემდეგ ალ. ქართველიშვილმა და მისმა საკონსტრუქტორო ჯგუფმა შექმნეს რეაქტიული თვითმფრინავები „ჰრ-12“ („ცისარტყელა“) და „ფ-84“ („თანდერჯენტი“ — „ზეხთამეხი“). მას ატომური ბომბის წაღება შეეძლო, სიჩქარე საათში 1 000 კილომეტრი ჰქონდა. „ფ-84“-ის მემკვიდრე იყო „თანდერსტრიკი“. 1955 წელს ამ ტიპის 12 თვითმფრინავმა მსოფლიო რეკორდი დამყარა ფრენის სიჩქარესა და სიშორეში. შემდეგ — „ფ-105“, და მისი გადამლობ-მზვერავი ვარიანტი „105 აი“, „რფ-84 ფ“, რომელიც თანამედროვე ავიაციის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა...

60-იან წლებში ალ. ქართველიშვილმა შექმნა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ავიაგამანადგურებელი „თანდერფლაში“, რომელიც საათში 1049 კილომეტრს ანვითარებდა. ეს თვითმფრინავი ბომბდამშენის საბომბე ნაკვეთურში თავსდებოდა. მისი მოქმედების რადიუსი იყო 3200 კილომეტრზე მეტი, ეს მანქანა აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების მრისხანე სტრატეგიული შენაძენი გახდა. მას მოჰყვა „რფ-105“ ფოტომზვერავი თვითმფრინავი. თავდაცვის სამინისტრომ ამ თვითმფრინავის შესაძენად კომპანიას დიდი თანხა გადაურიცხა. „ფ-103“-ის — ახალი ავიაგამანადგურებელდამჭერის საფრენოსნო მონაცემები გასაიდუმლოებულია. კორპორაციამ 4457 ცალი „თანდერჯენტი“ გამოუშვა, რაც რეკორდული ციფრია ერთი ტიპის რეაქტიული თვითმფრინავისათვის.

1962 წლიდან კორპორაციაში ალ. ქართველიშვილი სამეცნიერო კვლევასა და განვითარებასაც ხელმძღვანელობდა. მისი ბოლო ნამუშევარია ზებგერითი ავიაგამანადგურებელი „რფ-105“. 1965 წლიდან იგი რეაქტიული გამანადგურებლების („მეხების“) პროექტზე მუშაობდა. ასეთია აშშ-ის მოქალაქის ალ. ქართველიშვილის თვითმფრინავების საკონსტრუქტორო. მიღწევების ნუსხა პენსიაში გასვლამდე.

ალ. ქართველიშვილი ამერიკული თვითმფრინავმშენებლობის ერთ-ერთი პირველმკვლევავია. ყველა მისი თვითმფრინავი შექმნილია ახალი პრინციპული გადაწყვეტების საფუძველზე. კონსტრუქტორული იდეების განვითარების ევოლუციურ გზასთან შედარებით იგი რევოლუციურს ამჯობინებდა. ალ. ქართველიშვილი იყო უაღრესად „პუნქტუალური, ზედმიწევნით გულმოდგინე, და ამავე დროს არ გაურბოდა რისკს. ეს მართლაც, ავიაკონსტრუქტორის იშვიათი თვისებაა. რად ღირს ალ. ქართველიშვილის კრედო — არასოდეს არ გაიმეოროს წინათ შემუშავებული სქემები და მოდელები. მისი პროექტები მართლაც უნეიტრალ ფანტასტიკურიც კი გახლდათ. ქართველიშვილის მთავარი თვისება გამჭრიახობა, ავიაციის განვითარების მომავალი ტენდენციების განჭვრეტის უიშვიათესი ალღო და ხალასი ნიჭი იყო.

იგი ნოვატორი და ამასთანავე რეალისტი. დისციპლინა, ინიციატივა, პასუხისმგებლობა, — აი ის სამი ვეშაპი, რომლებზეც ალ. ქართველიშვილის წყალობით იდგა „რიპაბლიკ კორპორეიშენი“. ც. დანიელსი წერს: „...აშშ-ის თვითმფრინავმშენებლობის წარმოებაში უდიდესი დამსახურებისათვის ალ. ქართველი დაჯილდოებულია სამხედრო-საზღვაო ფლოტის „ეს“ მედლით. იგი იქცა ავიაგამანადგურებლების ფართო მწარმოებლად მსოფლიოში. ალ. ქართველს მინიჭებული აქვს ტემპლის უნივერსიტეტის და ბრუკლინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორის წოდება. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს ინტერნაციონალურ საავიაციო გაერთიანებას, ავიაკონსტრუქტორთა საზოგადოებას, ეროვნულ საავიაციო ასოციაციას და ავიაციის სამეცნიერო ინსტიტუტის კორპორაციას. გარდა ამისა, ალ. ქართველი სახელმწიფო საავიაციო კომიტეტის წევრია“.

„ალ. ქართველიშვილ, — იგონებს ოთარ ზალდასტანიშვილი, — დიდ პატივს სცემდა აშშ-ის სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენცია. სწორედ ამის გამოხატულება იყო, რომ მისი, როგორც თვალსაჩინო ავიაკონსტრუქტორის, ინჟინრისა და მეცნიერის სახელი შეიტანეს აშშ-ის ყველაზე პრეტიჟულ წიგნში „ჰუ იზ ჰუ“-ში. დედა ომის დამთავრების შემდეგ გარდაეცვალა, ალექსანდრესა და მის მეუღლე ჯეინ რობინსონს, რომელიც იმავე კორპორაციაში მუშაობდა, შვილები არ ჰყავდათ. ეს კი თავისებურ დაღს ასვამდა მეოჯახე ქართველ ვაჟკაცს და ნოსტალგიის კრძნობას უღვივებდა. ახლობლებისგან მალულად ბუტბუტებდა უახლოესი ნათესავის პოეტ გიორგი ქართველიშვილის ლექსებს, განსაკუთრებით ამ სტრიქონებს:

„აწმყომ დაამხო ტკბილი ზმანება,
ბედმა უდაბურ გზებით მატარა,
არ შემისრულდა ჭაბუკს ოცნება,
მშობლიურ მინის ხილვაც მანატრა“.

1977 წლის 22 ივლისს ამერიკულ გაზეთებში ასეთი შინაარსის ნეკროლოგი გამოქვეყნდა: „50 წლის მოღვაწეობის შემდეგ გარდაიცვალა ამერიკის ერთ-ერთი ლეგენდარული ავიაინჟინერი ალექსანდრე (საშა) ქართველი“.

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ მოკლედ ალ. ქართველიშვილი-ქართველის შინაარსიანი ცხოვრების ფურცლები. დღევანდელი თაობა წინა თაობის მხრებზე დგახო, ამბობენ. დიდი ავიაკონსტრუქტორის ალ. ქართველიშვილის თვითმფრინავები თანამედროვე ამერიკული კოსმოსური ხომალდ-ბორნების წინამორბედია.

მერი როდე-ჩიჯავაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

უკსიდეთში საკვლევი იუწყება 8 აპრილი

ვიზიტი, რომელმაც გაამართლა იმედები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალურ ვიზიტებს კუბის რესპუბლიკასა და დიდ ბრიტანეთში, ამ ორი სახელმწიფოს დედაქალაქებში გამართულ უმაღლესი დონის მოლაპარაკებას უდიდესი უურადღებით სწავლობენ საზღვარგარეთ. ამ მოვლენებს უთმობენ პირველ გვერდებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის წამყვანი გაზეთები, საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტით იწყებენ ახალი ამბების გამოშვებას მსოფლიოს მთავარი რადიო და ტელეკომპანიები.

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. წლის მთავარ მოვლენას უწოდებენ კუბელები მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს კუბაში. კუბის მიწა-წყალზე შეხვედრები, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო გულთბილობა და გულითადობა, — რესპუბლიკის მაღსობრივი ინფორმაციის საშუალებათა ძირითადი თემაა.

„დასავლეთის ნახევარსფეროს პირველ სოციალისტურ ქვეყანაში მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის ჩამოსვლამ გულწრფელად გაახარა კუბელები,— თქვა საკელსის კორესპონდენტთან საუბარში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოფენის „ექსპოკუბას“ დირექტორმა ესთერ ირსელმა. — როცა საბჭოთა ხელმძღვანელი ჩვენს გამოფენას ეწვია, მოგვეცა შესანიშნავი შესაძლებლობა გამოგვეთქვა მისდამი ის სიყვარული, რომელსაც მთელი ჩვენი ხალხი განიცდის საბჭოთა კავშირის მიმართ“.

ᲞᲠᲔᲡᲘᲐ ᲚᲐᲢᲘᲜᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ლონდონიდან მიღებულ დაწვრილებითს რეპორტაჟში აშშ-ებს მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში, მ. ტეტჩერთან მის მოლაპარაკებას, საბჭოთა კავშირ-ინგლისის დოკუმენტების ხელმოწერას. კუბის სააგენტო ხაზს უსვამს, რომ მსოფლიოში ბევრ რამეს მოელიან ამ ვიზიტის შედეგებისაგან.

ᲞᲠᲐᲦᲐ. ჰავანიდან გაისმა მ. ს. გორბაჩოვის მოწოდება თანასწორუფლებიანობის, სამართლიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე თანამშრომლობისათვის, წერს „**რუდე პრავო**“ თავის კომენტარში. კუბა გახდა ლათინური ამერიკის პირველი ქვეყანა, რომელსაც საბჭოთა ლიდერი ეწვია, აღნიშნავს გაზეთი, იგი უურადღებას მიაპყრობს მ. ს. გორბაჩოვის მკაფიო პოზიციას: ლათინური ამერიკის კონტინენტი, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა სხვა რაიონი, არ უნდა იყოს აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის კონფრონტაციის ადგილი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. კუბაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის ვიზიტმა საკსებით გაამართალა იმედები: მან (ახადყო ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული დღევანდელობის ისტორიულ რეალობებსა და ოთხოვნებს შორის კავშირი, წერს „**რაბოტნიჩესკო დელო**“. ჰავანის მოლაპარაკების დროს დეტალურად განიხილეს ცენტრალური ამერიკის მდგომარეობა, ამასთან აღინიშნა, რომ შესაძლებელია აქ წამოჭრილი მწვავე პრობლემების გადაჭრა სამხედრო საშუალებებით. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოებს საშუალება მიეცეთ ლათინური ამერიკის ქვეყნების გაერთიანების დახმარებით თვითონ უზრუნველყონ მშვიდობიანი მოწესრიგება.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ინგლისის პრესა მთელი ამ დღეების განმავლობაში დიდ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტს კუბაში. აქაურ მიმოხილველთა უმრავლესობა იმ აზრისა არის, რომ ეს ვიზიტი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა მთელი ლათინური ამერიკის კონტინენტის ცხოვრებაში, იგი ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა.

ლონდონის გაზეთები რამდენიმე გვერდს უთმობენ ბრიტანეთის დედაქალაქში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტის შესახებ მასალებს, ბეჭდავენ სტატიებს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მდგომარეობის თაობაზე. ინგლისის ტელევიზიის მე-4 არხის წამყვანი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტი „ორივე მხარეს მიაჩნია დიდ წარმატებად“. ამავე დროს „**გარდიანი**“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები, რომლებიც შეშ

აქტუალური ინტერვიუ

გვესაუბრება ხუტა ბერულავა

ყველა ბავშვი ბედნიერი უნდა იყოს!

საბჭოთა კავშირის საბავშვო ფონდის საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ხუტა ბერულავა** საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით გვესაუბრება ფონდის მიზანსა და დღინაწილებაზე, მომავლის გეგმებზე, გაწეულ მუშაობაზე.

ერთი წელიწადია, რაც შეიქმნა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის საქართველოს განყოფილება. მას ევალება ობოლ და მშობლების აღრცსს მოკლებული ბავშვების მოვლა-პატრონობა, ავადყოფი ბავშვების მკურნალობასა და გამოჯანმრთელებაზე ზრუნვა, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ხელის შეწყობა, ნორჩთათვის განკურთხული სამედიცინო დაწესებულებათა პირობების გაუმჯობესება, ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენა, სწავლის, დასვენების, განვითარებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. მოკლედ, ყველაფერი, რაც კი ბავშვსა და მის გარემოს ეხება.

— ყველა ბავშვი ჩვენია, ყველა მათგანი ბედნიერი უნდა იყოს!—ეი დეკინი ადამიანებისა, რომლებიც არაფერს იშურებენ იმისათვის, რომ მარტოობისა და ობლობის სუსხი არ იგრძნონ პატარებმა.

— სიკეთე სიკეთითვე დაგიბრუნდებათ! დღეს სხვისი ბავშვისათვის გაწეული ხელი ხვალ და ზეგ თქვენს შვილებს მოუტანს ბედნიერებას!—ვამბობთ ჩვენ. ამ სიტყვებში ხომ დიდი სიმართლეა.

თვითონ ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში ამ საზოგადოებრივი უფყების დაარსება, რომელმაც დიდი მხარდაჭერა პოვა. ფონდის ხელმძღვანელობას, სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს ყოველდღე გვიხდება მთხოვნელთა მიღება, დახმარების აღმოჩენა. ასევე გვიგზავნიან უამრავ წერილს, რომელთა აუღელვებლად წაკითხვა შეიძლებელია! ყველაფრის აღნუსხვა ძნელია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გულგრილობასთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში დაღლილ ადამიანთა უმრავლესობა სულიერად დამშვიდებული და მადლიერი ბრუნდება ჩვენგან. ისინი დარწმუნდნენ, რომ რაც დღეს ვერ გაკეთდა, ხვალ და ზეგ უთუოდ გაკეთდება. ჩვენი უპირველესი ამოცანა ახლა ის არის, რომ ეს იმედი და რწმენა ჩვენი მხარდაჭერისა, ჩვენი ორგანიზაციის გულისხმიერებისა და შესაძლებლობისა, არავის დაეკარგოს.

ამ ერთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის საბავშვო ფონდის საქართველოს განყოფილება დაეხმარა სამოცზე მეტ ოჯახს, მათ შორის 18 მრავალშვილიანს დაეხმარა არა მარტო მატერიალურად, არამედ ოჯახისათვის მრავალი საჭირბოროტო პრობლემის მოგვარებით.

შარშან ჩამოვაყალიბეთ მოსამზადებელი კურსები იმ ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის, რომელთაც სურდათ სწავლის გაგრძელება ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. საბავშვო ფონდთან არსებულმა მეცნიერთა საბჭომ (თავმჯდომარე—ჰამლეტ .მელაძე) საუკეთესო ძალები მოიწვია ობოლი ბავშვების ცოდნის ასამაღლებლად. ამ საქმეში დიდი ადამიანური გულისხმიერება გამოიჩინეს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა.

საბავშვო ფონდის მოსამზადებელი კურსების 44 მოსწავლიდან 15 ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი გახდა, ხოლო 27— ტექნიკუმებისა. ყველა ეს ბავშვი ჩვენი ყურადღების ცენტრშია, მათ ჩვენს ფონდთან ჩამოაყალიბეს თავიანთი საბჭო, რომელსაც „იმედი“ ეწოდეს.

წელსაც გამოცდების დაწყებამდე მოვაწყობთ მოსამზადებელ კურსებს თბილისში, ბათუმში, ცხინვალსა და თელავში, რათა ობოლ ბავშვებს ყველა გაეხსნათ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კარი.

შარშან ბავშვთა სახლების 150 აღსაზრდელმა დაისვენა ცხვარიჭამიაში. მათ ხშირად ხვდებოდნენ სახელგანთქმული მეცნიერები, მწერლები, კულტურის მოღვაწეები. ქალაქ თბილისში, ალდანის რაიონში აშენდა და მოქმედებს დედათა და ბავშვთა ექსპერიმენტული ფერმიაქი. ამ ფერმიაქის შექმნის თაოსნობა ეკუთვნის რესპუბლიკის მთავარ საბჭოთაქო სამმართველოს ხელმძღვანელობას. საბავშვო ფონდმა მას მხურვალედ დაუჭირა მხარი—მშენებლობისა და სამეცნიერო მოწყობილობით აღჭურვისათვის ბიეღო 50 ათასი მანეთი.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროსთან ერთად შემუშავდა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის გეგმჯობესების კომპლექსური პროგრამა. ახლახან ბავშვთა რესპუბლიკურ, ქალაქის № 6 ბავშვთა საავადმყოფოს, ონკოლოგიური ცენტრის ბავშვთა განყოფილებას გადაეცა 5 ათასი მანეთი ტელევიზორების შესაძენად და ეროვნული კუთხეების მოსაწყობად. საბავშვო ფონდმა 50 ათასი მანეთი გადარიცხა რესპუბლიკური ინფექციური საავადმყოფოს ბავშვთა ჰეპატიტის კორპუსის რეკონსტრუქციისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად შემუშავდა არასრულწლოვან დამნაშავეებთან მუშაობის ერთიანი პროგრამა. ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომლის მიზანია მორალური დახმარება გაუწიოს ყველა იმ მოზარდს, რომელსაც დასაწყისშივე გაეკრულდა ცხოვრების გზა. ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს მოზარდთა პირადი საქმეები. წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეხვდნენ არასრულწლოვან დამნაშავეებს. ჩვენი ადგილობრივი განყოფილებების დახმარებით ვსწავლობთ იმ ოჯახების მდგომარეობას, მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, სადაც უნდა დაბრუნდნენ მოზარდები.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი აქტიურად გვეხმარება ჩვენი ძნელი და საპატიო მისიის შესრულებაში. მისი თაოსნობით რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გაიგზავნა აგიტ-მატარებელი: ამ კეთილშობილური ლაშქრობის მონაწილეებმა კულტურული მომსახურებასთან ერთად მნიშვნელოვანი თანხაც ჩაურიცხეს საბავშვო ფონდს.

დიდი მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიური, რომლის ინიციატივით ბევრი საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ მოიწონა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გენერალური დირექტორის ზურაბ ლომაძის შესანიშნავი თაოსნობა საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში. ოპერის თეატრში ჩვენი პატარები მუსიკალური ხელოვნების საკითხესო ნიმუშებსაც იცნობიან და კულტურის მოღვაწეებსაც დაუმეგობრდნენ.

გაზეთ „საქართველოს კოოპერატორის“ საშუალებით ჩვენ მივმართეთ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის XX ყრილობის დელეგატებს, დარგის ყველა მოღვაწეს. ეკიპაჟირის ხელმძღვანელობამ ყოველმხრივი დახმარება, თანადგომა აღგვითქვა.

მადლობის გრძნობით გვსურს მივმართოთ საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის მუდმივი ზრუნვა რესპუბლიკის საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საკავშირო ფონდმა ახალი ავტობუსები გადასცა საჩოქრად თბილისის № 1, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწრის ბავშვთა სახლებს.

საქართველოს საბავშვო ფონდი, რომელსაც თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში აქვს თავისი განყოფილება, უსაზღვრო მადლობას მოახსენებს ყველა ადტილებს, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან ნორჩ თაობას, მრავალშვილიან ოჯახებს, ჩვენს მოამავალს. ჩვენს აქტივისტებს დავალებულებთ საბავშვო ფონდის საპატიო სიგელებით. დაწესებულია ეროვნული ალაჯი წარეთლის სახელობის პრემია, რომელსაც ყოველწლიურად მიანიჭებს საბჭოთა კავშირის საბავშვო ფონდის საქართველოს განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმი.

— ბავშვების სიყვარულისთვის! — განზრახული გვაქვს ასეთი წარწერა გაუკეთდეს ამ პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშანს.

მე თხოვნით მივმართავ პრესის მუშაკებს, განსაკუთრებით საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების თანამშრომლებს, უფრო მეტი ადგილი დაუთმონ საბავშვო ფონდის ადგილობრივი განყოფილებების მუშაობას.

ამასთან ისიც უნდა თქვას, რომ, რაც გაკეთდა, მხოლოდ პირველი ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი პროგრამა ფართოა და ვრცელი. მით უმეტეს, რომ უცხოელებიც აცხადებენ სურვილს ჩაერთონ საქართველოს საბავშვო ფონდის მუშობაში.

ამას წინათ საქართველოში სტუმრად იყო გერმანელი ქველმოქმედი, კინორეჟისორი და ფსიქოლოგი ეოლფგანგ ფრიდ. მან შემოგვთავაზა ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ასაშენებლად ერთი მილიონი დოლარის გაღება. სულ ახლახან გაფორმდა ხელშეკრულება ავსტრიელ ჰუმანისტთან ჰელმუტ კუტნერთან, რომელიც ორ მილიონ დოლარს გვთავაზობს საქართველოში ობოლთათვის საგანგებო სოფლის ასაშენებლად. ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა იტალიის საქველმოქმედო ჯგუფმა კორადო საკის ხელმძღვანელობით. შემოშავდა ერთიანი მოქმედების პროგრამა.

შარშან შემოდგომაზე რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა, თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ლამარა მარგველაშვილმა ჩამოგვიტანა ამერიკელი მოქალაქის ლესლი შილტენის წერილი, რომელიც გვთავაზობდა ატლანტაში საქართველოს საბავშვო ფონდის განყოფილების დაარსებას.

მისთვის გაგზავნილ წერილში მე ვთხოვეთ დიდად პატივისცემულ ლესლი შილტენს თავად ეკისრა ეს მისია.

პასუხად მივიღე ასეთი ბარათი, რომელიც, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის:

„მე ვერ აგიწერთ იმ დიდ სიამოვნებასა და აღელვებას, რომელიც მომანიჭა თქვენმა წერილმა 1988 წლის 10 ნოემბერს. მე დიდ პატივად მივიჩნევ, თუ ვიქნები საქართველოს საბავშვო ფონდის წარმომადგენელი ატლანტაში.

ყურადღებით გავეცანი დებულებას და შევუდექი იმ საბუშაოს, რომელსაც მოითხოვს საბავშვო ფონდის საერთო მიზნის განხორციელება.

თბილისში ვიქნები 1989 წლის 29 აპრილიდან 7 მაისამდე და ვიმედოვნებ, რომ თქვენ გამონახავთ ჩემთან შეხვედრის დროს, რათა მოვითათბიროთ ჩემი, როგორც ჯორჯიის შტატში თქვენი წარმომადგენლის მიზნებსა და ამოცანებზე.

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი კეთილშობილური საქმიანობისათვის. ვიმედოვნებ, რომ საშუალება მექნება მაქსიმალურად გამოვიყენო ის უპირატესობა, რომელიც თქვენ მომანიჭეთ, და თქვენთან ერთად ნარმატებით შევასრულო ის მომავლის პროგრამა, რომელიც დგას საქართველოს ბავშვთა ფონდის წინაშე.

დიდი პატივისცემით,
ლესლი ჯ. შილტენი“.

ასე იზრდება და მასშტაბური ხდება საქართველოს საბავშვო ფონდის საქმიანობა.

მრავალმხრივია და საგულისხმო ჩვენი სამომავლო გეგმები.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ყველა განყოფილება ერთნაირი მონდომებით ასრულებდეს თავის მოვალეობას. ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მოღვაწეებს:

ზრუნვა ბავშვებისათვის, მათი მომავლისათვის — არ არსებობს უფრო კეთილშობილური და უფრო მაღალი მიზანი. გახსოვდეთ საბავშვო ფონდი და მისი ანგარიში: 707. მკერა, ვისაც სამშობლო უყვარს, ვინც საქართველოს მზეს გულწრფელად ფიცულობს, ეს ანგარიში არ დაავიწყდებ!

(საქინფორმი).

ნაქარგების გამოფენა

● **ზუგდიდის** კულტურის განყოფილებისა და წიგნისმოყვარულთა საზოგადოების საქალაქო გამგეობამ ამ დღეებში მოაწყეს პოეტისა და მხატვრის ბიეტა აბშილავას ნაქარგი ავტოგრაფების პერსონალური გამოფენა.

ხელოვანმა ქალმა მრავალი მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის ხელნაწერი — ავტოგრაფი, ლექსი და პორტრეტი გადაარჩინა გახუნებასა და გაცრეცას. იგი აბრეშუმის ნაჭრებზე ფერადი ძაფებით გულმოდგინედ ქარგავს საინტერესო ტექსტის შესაფერ ესკიზებსაც.

ბ. აბშილავამ ბოლოს წაიკითხა ახალი ლექსები.

დოდო ზურაბიშვილი.



თბილისი. აბანოთუბანი. ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, წვიმა, მთაში თოვლი, ზვავი, დასავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში; ტემპერატურა — ბარში ღამით 5-10, დღისით 13-18, მთაში — ღამით 2-7, დღისით 11-16; მაღალმთიანეთში — ღამით მინუს 1-პლუს 4, ღამით 7-12 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში: ზოგან ხანმოკლე წვიმა, მთაში თოვლი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში; ტემპერატურა — ბარში ღამით 2-7, დღისით 16-21, მთაში — ღამით 2-7, დღისით 11-16; მაღალმთიანეთში — ღამით მინუს 1-პლუს 3, დღისით 9-14 გრადუსი.

თბილისში — დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში; ტემპერატურა — ღამით 5-7, დღისით 19-21 გრადუსი.

დღევანდელი ნომრის სტუმარი

იმედის ნათელი

ქალი ეკა გიული ჭოხონელიძე, ამბობს კიდეც: ჩემმა ხასიათმა ბარე ორჯერ უკან დამწია, ჩრდილში დამაყენა.

ვთქვათ, რა ხასიათი აქვს ასეთი?

უთქმელია, გულჩათხრობილი, ქალსაობას ვერ იტანს („რომელიმე რეჟისორი ფილმზე რომ დაიწყებდა მუშაობას, სალამს აღარ ეუბნებოდი ხელრიანად, არ ეგოხოს, ჩემს ფილმში როლი უნდოო“...)

ამ ხასიათის ჩამოყალიბებას, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ზოგმა არასასიამოვნო ცხოვრებისეულმა მოკლეთან. ვთქვათ, მამის უსამართლოდ დაპატიმრებამ ოცდაათიანი წლების ბოლოს („თექვსმეტი წელიწადი გაატარა გადასახლებაში, კოლიმაზე... გვიყვებოდა: მე მესამე ნარზე ვიწექი, ხოლო მეოთხეზე როკოსოვსკი... ერთ ღამეს როკოსოვსკი წაიყვანეს და რომ გვეგონა დახვრიტეს, მოგვიანებით, შეთხვევით გაზეთის ნაგლეჯზე ვნახეო მისი სურათი და ქვემოთ წარწერა: „მარშალი როკოსოვსკი“...)

სტუდენტობა მაინც სტუდენტობაა, თუმცა არც იგი ჰქონია თეატრალურ ინსტიტუტში დალხენებული და უზრუნველი გიული ჭოხონელიძეს. უჭირდა ოჯახს, მარტოხელა დედა პედაგოგობით, აბა, რას გასწვდებოდა. იმ წლებში წესი იყო ასეთი: სტუდენტი სწავლის ფულს იხდიდა, წინასწარ შეაქონდა თანხა. („ცხადია, გვიგვიანდებოდა გადახდა... ერთ დღეს, აკაკი ხორავა მხვდება კიბეებზე — (ძალიან ვუყვარდი, რატომღაც) — და მეუბნება: ჩადი ერთი, საშა კიკნაძესთან და გადაეცი: სტუდენტს, ვისაც სწავლის ფული არ შეუტანია, ყველა ჩემთან ამოიყვანოსო. ძია საშამ მე ჩამაყენ ხელი და ამიყვანა ხორავასთან: ა, ბატონო, ამას არა აქვს გადახდილი!..

— რატომ არ იხდი? — მეკითხება ხორავა.

— რა ვიცი, ვერ შეგძელით, მამა დაპატიმრებული მყავს, გვიჭირს, — ვეუბნები მე. ამოიღო ფული და მომცა, წადი, გადაიხადეო... დადგა ახალი სასწავლო წელი და ვხედავ, ჩემი სწავლის ფული უკვე გადახდილია... რა უნდა გვექნა?.. ოჯახში გადაგწყვიტეთ, როგორმე შეგვეგროვებინა ფული და დაგვებრუნებინა ბატონი აკაკისათვის. მართლაც, შევაგროვეთ, მაგრამ რომ მივუტანე, იუკადრისა, მეუბნება: დიდი მსახიობი რომ გახდები, მაშინ გადამიხადეო“...

თეატრალური ინსტიტუტი დამთავრა და გიული ჭოხონელიძე მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში შევიდა, მესამე კურსზე დასვეს. მალე მას მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვხედავთ. იმ თაობის მაყურებელს ახსოვს ახალგაზრდა მსახიობის მიერ შესანიშნავად განსახიერებული როლები სპექტაკლებში „ლალი“, „ოჯახის ღირსება“, „რას იტყვის ხალხი“, „ახალი წლის ღამე“ და ა. შ. („მაგრამ, ზედიზედ მიმიწვიეს კინოში და მეც ცდუნებას ვეღარ გავუძელი, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა დავუშვი, რადგან მსახიობის უპირველესი საქმე სცენაა, თეატრს არ უნდა მოსწყდეს კაცი... რა მექნა, ზოგჯერ ოთხ-ხუთ სურათში ვიღებდი ერთდროულად... მერე შტატშიც მიმიღეს კინოსტუდიაში. მაშინ ახალი შექმნილი იყო შტატები, დუდუნანა წეროძე, კოტე დაუშვილი, ლეილა აბაშიძე და კიდევ რამდენიმე კაცი ირიცხებოდა კინოსტუდიის მსახიობად... ჰოდა, ასე შევარჩი“...).

• • •

დღემდე, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კინოსტუდიაში, ორმოცდაათ სურათში ითამაშა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გიული ჭოხონელიძემ. ცხადია, ეს როლები ყველა უმაღლეს დონეზე არ ყოფილა შესრულებული, მაგრამ მაყურებელს უთუოდ დაამახსოვრდებოდა მისი იბრაგიმი („ფატიმა“), გოგია „შეხვედრა წარსულთან“), ქურდი („დღე უკანასკნელი, დღე პირველი“), ბაგრატიონი („ომი და მშვიდობა“), ბეთქილი („წინაპართა მიწა“) და სხვა. ეს როლები გამორჩეული დიდი შინაგანი ძალით, აზრობრივი, ფსიქოლოგიური დატვირთვით; მსახიობის „გაუცინარი“ სახე, ძუნწი შტრიხებით, ზედმიწევნით გვიხსნის ამა თუ იმ გმირის ბუნებას. გ. ჭოხონელიძისთვის განსაკუთრებული მოვლენა იყო ს. ბონდარჩუკის „ომსა და მშვიდობაში“ ბაგრატიონის სახესთან შეხვედრა. საყოველთაო აღიარებით, მან ბრწყინვალედ დაგეხიტა ეს სახე. ხოლო შემდეგ ს. ბონდარჩუკისა და სხვათა მხარდაჭერით გადაწყვიტა თვითონ დაედგა ფილმი პეტრე ბაგრატიონზე („როგორც კინორეჟისორს, მე უკვე მქონდა ერთი-ორი ფილმი გადაღებული, მაგრამ ყველა ტანჯვა-წამებით, მაგალითად, „წინაპართა მიწას“, გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად, შვიდ წელიწადს ვიღებდით. „ბაგრატიონი“ ხომ (გუგული მგელაძესთან ერთად) „წამების“ უმაღლესი წერტილი შეიქმნა, როგორ დამეხმარა „მოსფილმი“, მაშინდელი კულტურის მინისტრი, რა ვიცი, ქვეყანა... მაგრამ, მაინც საოცრად გაძნელდა გადაღება. არადა, ბოლოს პირველი კატეგორია მიიღო, ეურნალ „სოვეტსკი ეკრანის“ გამოკითხვით, 1985 წლის ერთ-ერთ საუკეთესო სურათად აღიარეს. შეისყიდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ და პრესაც საკმაოდ კარგი ჰქონდა. აი, ნახეთ ნაწყვეტი რეცენზიების კრებულიდან „ეკრანი-87“, (ცნობილი კინომცოდნე ი. სამარინი წერს:

„უნდა ვაღიარო, გამიტაცა ფილმში ბრძოლის დინამიკამ. მოვლენები აქ თანდათან მძაფრდება, ასევე როგორც ამ ისტორიული ბრძოლის დროს იყო.

ცხადია, ფილმის ავტორები უპირატესად ბაგრატიონის, თავადაზნაურების მოქმედებას გვიჩვენებენ. ეს ერის ბრძოლა მეფეთა ბრძოლის გმირულ ეპოქაში ასეთი ბრძოლის ბოლო ეპიზოდია. ეს ეპიზოდი ეკუთვნის ბაგრატიონს, ეს ეპიზოდი ეკუთვნის ეროვნულ ბრძოლას, ეროვნულ ბრძოლას, ეროვნულ ბრძოლას.

ფილმის მეორე ხერხია მთლიანად ჭოხონელიძის მსახიობური მუშაობა უძეხს მტკიცე საფუძველად. ეს „სოლოა“. იგი გაცვეთილი თეატრალური ხერხების გარეშე, ძალდაუტანებლად თამაშობს. მსხვილ პლანს არჩევს. საგულისხმოა სახის გამომეტყველება — ნებისყოფიანი და ვაჟკაცური. ეს სახე თუ არ შეგვახსენებს, ყოველ შემთხვევაში უახლოვდება თავად პეტრე ბაგრატიონის გამოსახულების იმ ტიპს, რომელიც მოცემულია დოუს პორტრეტში ყოფილი ზამთრის სასახლის სამხედრო გალერეაში.

მე მგონია, ჭოხონელიძე უფრო სარწმუნოც კია, უფრო მეტად ჰგავს პროტოტიპს, ვიდრე სახელგანთქმული სერგო ზაქარიაძე ფილმ „კუტუზოვში“...

• • •

სამოცი წლის ხელოვანი იმედიანად შეჰყურებს ხვალინდელ დღეს, ორ ფილმში (ოლონდ, არა ჩვენს სტუდიაში) მთავარ როლს თამაშობს, ხოლო როგორც რეჟისორი, აპირებს გურამ ფანჯიკიძის რომანის — „სპირალის“ მიხედვით „ქართულ ფილმში“ შექმნას ფანტასტიკური ჟანრის კინოსურათი, რომელიც, გვჯერა, აუცილებლად იპოვის თავის მაყურებელს („რა ვიცი, ესეც თუ არ შემიჩერეს, ანთიმოზ ივერიელზე ვაპირებდი ფილმის გადაღებას, მაგრამ ვინ მოგცა უფლება“...)

... იმედი დიდი რამ არის.

ვილენ მარდალეიშვილი.

მეცნიერება და გუნება

მდგომარეობა უმჯობესდება



ივლისის მარტი უჩვეულოდ თბილი და უნალექო იყო, თუმცა თვის ბოლოს ზოგიერთ რაიონში ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად დაეცა, ზოგან თოვლიც კი მოვიდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ბუნებაში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლები თანდათანობით უახლოვდება გაზაფხულის საშუალო მრავალწლიურ მონაცემებს.

რუკა, რომელიც შედგენილია აეროკოსმოსური ლაბორატორიის, რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს მასალებისა და ვერტმფრენიდან ჩატარებული დაკვირვებების ანალიზის საფუძველზე, გვიჩვენებს საქართველოს ცალკეულ რეგიონთა მდგომარეობას მარტში.

რუკაზე ციფრი 1-ით აღნიშნულია აჭარა-იმერეთის საშუალო და მაღალმთიანი ტერიტორიები, ლიხისა და არსიანის ქედები, ამჟამად აქ შენარჩუნებულია თოვლის საკმაოდ მძლავრი, 100-150 სანტიმეტრის სისქის საფარი. მარტში ამ რეგიონისათვის ჰაერის ტემპერატურა და ნალექთა რაოდენობა საშუალო მრავალწლიურის ფარგლებში მერყეობდა. მოცემულ ტერიტორიებზე კვლავაც არის ზვავების, მეწყერებისა და ღვარცოფების შესაძლებლობა.

მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება გურია-აჭარისა და იმერეთის ქვედა მთის ლანდშაფტებში (ციფრი 2), აქ თოვლი მთელი ზამთრის განმავლობაში ბევრად სჭარბობდა ნორმას. მარტში ჰაერის ტემპერატურამ, რაც საშუალო მრავალწლიურს 3-4 გრადუსით აღემატებოდა, გამოიწვია თოვლის ინტენსიური დნობა. ამჟამად იგი ძირითადად ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. თუმცა, ამ ტერიტორიებზე კვლავ მოსალოდნელია მეწყერები, რაც განპირობებულია ნიადაგში არსებული ტენის უზარმაზარი მარაგით.

მარტისთვის დამახასიათებელ საშუალო მრავალწლიურ მონაცემებს უახლოვდება დასავლეთი და ცენტრალური კავკასიონის მიმდებარე ტერიტორიების (ციფრი 3) ბუნების შემადგენელ კომპონენტთა მდგომარეობის მაჩვენებლები. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში აქ ჰაერის ტემპერატურა და ნალექების რაოდენობა ნორმასთან ახლოს იყო. მიუხედავად ამისა, თოვლის საფარი მთლიანად შენარჩუნებულია და მაღალმთიან რაიონებში 100-დან 120 სმ-საც კი აღწევს.

ინტენსიურმა დათბობამ მარტის მეორე დეკადაში კოლხეთის დაბლობზე, იმერეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის გორაკ-ბორცვიან ზოლში, აგრეთვე მდინარეების: რიონის, ცხენისწყლისა და ენგურის ხეობათა შუა ნაწილში (ციფრი 4) საგაზაფხულო პროცესების დაჩქარება გამოიწვია. მარტის ბოლო დეკადაში ჰაერის ტემპერატურის მკვეთრმა, უარყოფითმა ცვალებადობამ, ზოგან თოვლის მოსვლამაც კი, დიდი გავლენა არ უნდა იქონიოს აღნიშნული რეგიონის ბუნებაზე.

საკმაოდ მრავალფეროვანია აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტთა მდგომარეობა. აქ მარტის განმავლობაში თბილი და უნალექო ამინდი იყო, შიდა ქართლს კაკეზე (ციფრი 5) თოვლის საფარი საერთოდ აღარ გვხვდება, თუმცა მარტის ბოლო დღეებში ცივი ჰაერის მასების შემოჭრამ გამოიწვია მისი ნაწილობრივი რეტროგრადაცია. ამ რეგიონის ბუნებრივი მცენარეულობა თანდათანობით უახლოვდება სტრუქტურის გართულების მდგომარეობას. იგივე აღინიშნებოდა ჯავახეთის ვულკანურ პლატოსა და ახალციხის ქვაბულის მიმდებარე ტერიტორიებზე (ციფრი 6). ამჟამად მოსალოდნელია მკვეთრი აცივება, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ვეგეტაციის პირობებზე.

საკმაოდ რთული მდგომარეობით ხასიათდება აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონები (ციფრი 7), უნალექო ზამთარმა თავისი გავლენა იქონია ნიადაგში არსებული ტენის მარაგზე. აქ სემიარიდული მდგომარეობაა შენარჩუნებული. შეფერხებულია ფიტომასის ფორმირება. წყლის უკმარისობა ასევე იმოქმედებს აღნიშნულ რეგიონში მოქცეულ მდინარეთა რეჟიმზეც, კერძოდ, მოსალოდნელია მათი წყლის დონის მკვეთრი დაწევა.

ტენის რაოდენობა ჯერჯერობით საკმარისადაა ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის მაღალმთიან ტერიტორიებზე (ციფრი 8). სადაც მარტის თვის მეორე ნახევარში თოვლის საფარმა უჩვეულო სიმაღლეებდე, ზღვის დონიდან 2000-2500 მეტრამდე მიაღწია, აქ ჰაერის ტემპერატურა გასულ თვეში ნორმაზე მეტი იყო, ხოლო ნალექების რაოდენობა თავისი სიმცირით მკვეთრად განსხვავდებოდა ანალოგიური, საშუალო მრავალწლიური მონაცემებისაგან. მარტის ბოლოს ძირითადად თოვლის სახით მოსულმა ნალექებმა ერთგვაროვად შეავსო არსებული განსხვავება, თუმცა იგი დიდ გავლენას ვერ იქონიებს ამ რეგიონში დამყარებულ ზამთარ-ზაფხულის გარდამავალ მდგომარეობაზე.

ამგვარად საქართველოს ბუნების მდგომარეობათა გეოგრაფია შედარებით დამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა, თუმცა ნალექიანობით ცნობილ აპრილის თვეში მეტეოროლოგიურ მოვლენათა განვითარების ხასიათი აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში შექმნილი რთული მდგომარეობის გაუმჯობესებას გვპირდება.

ნიკო ბერუჩაშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აეროკოსმოსური მეთოდებით ბუნებრივი გარემოს მდგომარეობათა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, პროფესორი

ნოდარ ელიზბარაშვილი.

კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრის თანამშრომელი

სატურნირო ორბიტა

● **ბაღრაკი.** ბარსელონაში გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხე ტურნირი. 7 ტურის შემდეგ 5,5 ქულით კვლავ ლიდერობს იუგოსლავიელი ლუბომირ ლუბოევიჩი. მეორე ადგილზე გადაინაცვლა ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა, რომელმაც ორივე გადადებული პარტია მოიგო (კუბელ ხესუს ნოგეირასს და ესპანელ მიგელ ილასკეხს) და 4,5 ქულა მოაგროვა. შორტს ნახევარი ქულით ჩამორჩება არტურ იუსუპოვი, რომელსაც ერთი პარტია დასამთავრებელი აქვს. დანარჩენ მოკადრაკეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია), რობერტ ჰიუბნერი (გფრ) — 4-4 ქულა, იასერ სეირავანი (აშშ), — 3,5 (1 გადადებული პარტია), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ბორის სპასკი (საფრანგეთი) — 3,5; გარი კასპაროვი, ვალერი სალოვი, ალექსანდრე ბელიავსკი — 3 (თითო გადადებული პარტია). ილესკეხი — 3, ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 2,5 (1), პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია), რაფაელ ვაჰანიანი — 2,5, ჯონათან სპილმენი (დიდი ბრიტანეთი) — 2 (1), ნოგეირასი — 2.

● **ჩოგბურთი.** აშშ-ში მიმდინარე საერთამორისო ტურნირის მეოთხეფინალში მინსკელმა ნატალია ზვერევამ ანგარიშით 6:3, 6:2 დაამარცხა თბილისელი ლეილა მესხი და აგრძელებს პრიზისათვის ბრძოლას. უიმბლდონის ჩემპიონმა შტეფი ჭრაფმა (გფრ) მოუგო ჩეხოსლოვაკიელ რადკა ზრუბაკოვას — 6:2, 6:1, მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) — ჰანა მანდლიკოვას (ავსტრალია) — 6:2, 7:5, არანტა სანჩესმა (ესპანეთი) — ლინდა ფერანდოს (იტალია) — 7:5, 6:1.

● **კალათბურთი.** **მიუნხენში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი. იუგოსლავიის „იუგომლასტიკამ“ ანგარიშით 75:69 (85:85) დაამარცხა ისრაელის „მაკაბი“ და პირველად დაეუფლა საპატიო პრიზს.**

● **თავისუფალი ჭიდაობა.** მსოფლიო თასის მოპოვების შემდეგ საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა აშშ-ს ქალაქ ედინბოროში ტრადიციული სამატჩო შეხვედრა გამართა მასპინძელთა გუნდთან. მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს ამერიკელმა ფალავნებმა. ყველაფერი გად